



საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

სახელმძღვანელო მითითებები
პირობითი ვალდებულებების გამოყენების შესახებ

თბილისი

2026 წელი

შინაარსი

შესავალი	3
თავი I. პირობითი ვალდებულებების შესახებ გადაწყვეტილებების რეგულირება ევროკავშირის სამართალში	4
1. პირობითი ვალდებულებების არსი.....	5
2. პირობითი ვალდებულებების მიმართ მოქმედი პრინციპები.....	6
2.1. დისკრეციულობა.....	6
2.1.1. პირობითი ვალდებულებების მექანიზმი, როგორც კომისიის დისკრეციული უფლებამოსილება	7
2.1.2. პირობითი ვალდებულებების გამოყენების კრიტერიუმები და ფარგლები	9
2.2. პროპორციულობა.....	11
2.2.1. ვალდებულების ბუნება, როგორც პროპორციულობის კრიტერიუმი.....	12
2.2.2. ვალდებულების ვადა, როგორც პროპორციულობის კრიტერიუმი	14
3. პირობითი ვალდებულებების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცედურა ...	17
3.1. საქმის წინასწარი შეფასება	18
3.2. ვალდებულებების წარდგენის/შეთავაზების წესი	19
3.3. „ბაზრის ტესტი“ და შემდგომი კომუნიკაცია მხარეებთან	20
4. ვალდებულებების შესრულების მონიტორინგი და შეუსრულებლობის შედეგები	21
4.1. ვალდებულების შესრულების მონიტორინგი	22
4.2. ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგები	23
5. პირობითი ვალდებულებების შესახებ გადაწყვეტილებების სასამართლო კონტროლი	24
6. ევროკავშირის პრაქტიკა პირობითი ვალდებულებების გამოყენების შესახებ	27
6.1. ვალდებულებების გამოყენება მედია და სპორტული უფლებების რეალიზაციის ბაზრებზე	29
6.2. ვალდებულებების გამოყენება ციფრულ ბაზრებზე.....	30
თავი II. პირობითი ვალდებულებების შესახებ გადაწყვეტილებების რეგულირება და აღსრულება ქართულ კონკურენციის სამართალში	34
1. პირობითი ვალდებულებების საკანონმდებლო რეგულირება	35
1.1. პირობითი ვალდებულებების შესახებ გადაწყვეტილების მიღება საჩივრის დასაშვებობის ეტაპზე	35
1.1.1. ვალდებულებების შეთავაზება და განხილვა.....	36
1.1.2. ვალდებულებების შესახებ გადაწყვეტილების მიღება და მისი შესრულების მონიტორინგი	37
1.2. პირობითი ვალდებულებების შესახებ გადაწყვეტილების მიღება საქმის მოკვლევის ეტაპზე.....	38

1.2.1.	პირობითი ვალდებულების შეთავაზების უფლება და განხილვა.....	39
1.2.2.	პირობითი ვალდებულების შესრულების მონიტორინგი და შეუსრულებლობის შედეგები.....	41
2.	სააგენტოს პრაქტიკა პირობითი ვალდებულებების გამოყენების შესახებ	42

შესავალი

პირობითი ვალდებულებების (Commitment decision) ინსტიტუტი თანამედროვე კონკურენციის სამართალში წარმოადგენს მნიშვნელოვან მექანიზმს, რომელიც მიზნად ისახავს სავარაუდო კონკურენციის საწინააღმდეგო ქცევის ეფექტიან და ოპერატიულ აღმოფხვრას ადმინისტრაციული წარმოების სხვადასხვა ეტაპზე. მისი საკანონმდებლო რეგულირება ეფუძნება პრევენციულ და კორექტირებად მიდგომას, რაც კონკურენციის პოლიტიკის აღმასრულებელ ორგანოს აძლევს შესაძლებლობას, კონკურენციის შესაძლო შეზღუდვის რისკი აღმოფხვრას დარღვევის ფაქტის საბოლოო დადგენის გარეშე, მხარის მიერ შეთავაზებული პირობითი ვალდებულებების საფუძველზე.

პირობითი ვალდებულებების შესახებ გადაწყვეტილებები წარმოადგენს კონკურენციის სამართლის აღსრულების შედარებით ახალ ინსტრუმენტს, როგორც ევროკავშირის, ისე წევრი სახელმწიფოების დონეზე.

კონკურენციის აღმასრულებელი უწყებების შესაძლებლობა, კონკრეტული საქმე დაასრულონ საქმის გრძელვადიანი და კომპლექსური მოკვლევის გარეშე, პროცესუალური ეკონომიის გათვალისწინებით წარმოადგენს მნიშვნელოვან ინსტრუმენტს, რომელიც, ერთი მხრივ, აღმასრულებელ უწყებას საშუალებს აძლევს, უზრუნველყოს კონკურენციის სავარაუდო საწინააღმდეგო ქცევის დროული და ოპტიმალური აღმოფხვრა ბაზარზე, მეორე მხრივ, ეკონომიკური აგენტები იღებენ სამართლებრივ სიცხადეს იმის შესახებ, რა არის მათთვის დასაშვები და რა დაუშვებელი მომავალში, ამასთან ეძლევათ შესაძლებლობა თვითრეგულირებადი ქცევის დაწესებით თავიდან აიცილონ პროცედურული რესურსების ხარჯვა და პოტენციურად, კანონდარღვევის დადასტურება შესაბამის სანქციებთან ერთად.

აღნიშნული ორმხრივი უპირატესობების გამო, აშკარად შეინიშნება გადახრა „ადვერსალური“ (დაპირისპირებითი) კონკურენციის სამართლის აღსრულებიდან „მოლაპარაკებებზე დაფუძნებული გადაწყვეტების“ მიმართულებით.¹

პირობითი ვალდებულებების მექანიზმი ევროკავშირის კონკურენციის სამართალში შემოღებულ იქნა ევროკავშირის საბჭოს რეგულაციის №1/2003² საფუძველზე და ამავე აქტით რეგულირდება.

საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობაში, კერძოდ, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონში (შემდგომში - „კანონი“) პირობითი ვალდებულებების მექანიზმი

¹ Heike Schweitzer, “Commitment Decisions in the EU and in the Member States: Functions and Risks of a New Instrument of Competition Law Enforcement within a Federal Enforcement Regime”, *e-Competitions Bulletin*, Special Issue on Commitment Decisions, 2 აგვისტო 2012, გვ.2.

² საბჭოს 2002 წლის 16 დეკემბრის რეგულაცია (EC) No1/2003 ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 81-ე და 82-ე მუხლებით დადგენილი კონკურენციის წესების აღსრულების შესახებ, <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=CELEX%3A32003R0001> [24.04.2026].

2020 წელს განხორციელებული რეფორმის შედეგად³ იქნა შემოღებული. აღნიშნულის საკანონმდებლო ცვლილებების პროექტი, მიზნად ისახავდა ქართული კონკურენციის სამართლის დაახლოებას ევროკავშირის მატერიალურ და პროცედურულ სტანდარტებთან და, საბოლოოდ, ეფექტიანი და სრულყოფილი კონკურენტული რეჟიმის ჩამოყალიბებას საქართველოში, მათ შორის კონკურენციის სამართლებრივ დავებში პირობითი ვალდებულებების მექანიზმის ადაპტირებას.

შესაბამისად, წინამდებარე გზამკვლევ დოკუმენტში, პირობითი ვალდებულებების („Commitment decision“) მექანიზმი განხილული იქნება, ევროკავშირის მოქმედი საკანონმდებლო რეგულაციების, ევროკომისიისა და ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკის ანალიზით, ასევე, შედარებითი პერსპექტივიდან, წევრი სახელმწიფოებისა და სხვა იურისდიქციების მაგალითის საფუძველზე (I), ხოლო, ამის შემდგომ მიმოხილული იქნება აღნიშნული ინსტიტუტის საკანონმდებლო ჩარჩო და შესაბამისი პრაქტიკული აღსრულება საქართველოს კონკურენციის სამართლის ფარგლებში (II).

თავი I. პირობითი ვალდებულებების შესახებ გადაწყვეტილებების რეგულირება ევროკავშირის სამართალში

პირობითი ვალდებულებების ინსტიტუტი წარმოადგენს ევროკავშირის კონკურენციის სამართლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მექანიზმს, რომელიც უზრუნველყოფს იდენტიფიცირებული კონკურენციის სამართლებრივი პრობლემის ეფექტიან აღმოფხვრას დარღვევის საბოლოო დადგენის გარეშე.⁴ მისი რეგულირება ასახავს ბალანსს ადმინისტრაციულ ეფექტიანობასა და პროცედურული გარანტიების დაცვას შორის, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კონკურენციული პროცესების დინამიკურ გარემოში.

ევროკავშირის სამართალში აღნიშნული ინსტიტუტი ჩამოყალიბებულია, როგორც სტრუქტურირებული და მრავალსპექტიანი სისტემა, რომელიც მოიცავს როგორც ვალდებულებების შინაარსობრივ განსაზღვრას, ისე მათი მიღების, განხორციელებისა და კონტროლის მექანიზმებს. შესაბამისად, მისი ანალიზი მოითხოვს არსის, მოქმედი პრინციპების, პროცედურული წესების, მონიტორინგისა და აღსრულების, სასამართლო

³ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონში განსახორციელებელი ცვლილებების პროექტი, მაქსიმალურად ასახავს ევროკავშირის სამართალში არსებულ მატერიალურ და პროცედურულ ნორმებს, საქართველოს ჰქონდეს ყოვლისმომცველი და ეფექტიანი კონკურენციის კანონმდებლობა. ევროკავშირის პროექტის ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენს, გაზარდოს და გააძლიეროს კონკურენციის სააგენტოს სამართლებრივი, ეკონომიკური და ტექნიკური შესაძლებლობების ეფექტიანობა, რაც უზრუნველყოფს სააგენტოს მიერ კონკურენციის პოლიტიკის სათანადოდ აღსრულებას, ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკისა და DCFTA-ის დებულებების შესაბამისად,“ იხ. განმარტებითი ბარათი „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, საქართველოს კანონის პროექტზე (შემდგომში კანონი - დოკუმენტის ნომერი: 7126-III, მიღების თარიღი: 16/09/2020), გვ.1-2.

⁴ Jonathan Faull, Ali Nikpay (რედ.), *The EU Law of Competition*, მე-3 გამოცემა, 2014, Oxford University Press, პუნქტი 2.118, გვ. 128.

კონტროლისა და პრაქტიკული გამოყენების ერთიან განხილვას, რაც წარმოდგენილია წინამდებარე თავში.

1. პირობითი ვალდებულებების არსი

პირობითი ვალდებულებების მექანიზმი ევროკავშირის კონკურენციის სამართალში შემოღებულ იქნა ევროკავშირის საბჭოს №1/2003 რეგულაციის საფუძველზე, რათა ევროკომისიას (შემდგომში ასევე, „კომისია“), თანამშრომლობაზე მხარეთა მზადყოფნის შემთხვევაში, ჰქონოდა შესაძლებლობა სწრაფად და მოქნილად მიეღო გადაწყვეტილება გარკვეული სირთულის საქმეებთან დაკავშირებით.

საბჭოს №1/2003 რეგულაციის მე-9 მუხლი კომისიას ანიჭებს უფლებამოსილებას მიიღოს კონკურენციის სამართლის აღსრულების ახალი ტიპის, პირობითი ვალდებულებების შესახებ გადაწყვეტილება საქმის არსებითი მოკვლევის გარეშე და რომლის მეშვეობითაც ეკონომიკური აგენტების მიერ შეთავაზებული ვალდებულებები არის სავალდებულო და აღსრულებადი. ვალდებულებებს „პირობითი“ ეწოდება, რადგან გადაწყვეტილება ეფუძნება ვალდებულებების შესრულების პირობას — კომისია არ ადგენს დარღვევას, არამედ წყვეტს საქმეს იმ პირობით, რომ ეკონომიკური აგენტები შეასრულებენ შეთავაზებულ ვალდებულებებს.

ასეთი გადაწყვეტილებებიც ემსახურება კონკურენციის პრობლემის ეფექტიანად აღმოფხვრას. ვალდებულებების შესახებ გადაწყვეტილება თავისი ბუნებით წარმოადგენს აღსრულების ინსტრუმენტს, იგი მიიღება იმ შემთხვევებში, როდესაც კომისია, პრინციპულად, შეიძლება გადასულიყო აკრძალვის გადაწყვეტილებაზე, თუმცა მიიჩნევს, რომ შეთავაზებული ვალდებულებები საკმარისად პასუხობს გამოვლენილ კონკურენციულ პრობლემებს და აღარ არსებობს კომისიის ჩარევის საფუძველი (*grounds for action*). ამასთან, ასეთი გადაწყვეტილება არ შეიცავს დასკვნას იმის შესახებ, არსებობდა თუ არა დარღვევა. გადაწყვეტილება შეიძლება მიღებულ იქნეს განსაზღვრული ვადით.

რეგულაციის ძალაში შესვლის შემდეგ, ვალდებულებების შესახებ გადაწყვეტილებები იქცა კომისიის პრაქტიკის მნიშვნელოვან ინსტრუმენტად და ფართოდ გამოიყენება როგორც ევროკავშირის დონეზე, ისე წევრ სახელმწიფოებში.

რეგულაცია პირდაპირ არ აწესებს, შეუძლიათ თუ არა მესამე პირებს დაეყრდნონ ასეთ ვალდებულებებს ეროვნული სასამართლოების წინაშე, თუმცა ევროკავშირის სამართლის ზოგადი პრინციპებიდან ცხადია, რომ ვალდებულებებს შეიძლება ჰქონდეს პირდაპირი ეფექტი. ამდენად, ისინი შეიძლება გამოყენებულ იქნეს კერძო დავებშიც, როგორც სამართლებრივი საფუძველი (მაგ. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნისათვის).

პირობითი ვალდებულებების შესახებ გადაწყვეტილებების ძირითადი მიზანია პროცედურული ეკონომიის უზრუნველყოფა და ბაზარზე მყისიერი ეფექტის მიღწევა. მათი უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ ისინი საშუალებას იძლევიან თავიდან იქნეს

აცილებული ხანგრძლივი პროცედურები და შესაძლო ჯარიმები, თუმცა ამავე დროს მათ ახასიათებთ შედარებით დაბალი პრეცედენტული მნიშვნელობა და შეზღუდული სასამართლო კონტროლი.

ამასთან, როგორც წესი, პირობითი ვალდებულებების შესახებ გადაწყვეტილებები არ გამოიყენება იმ შემთხვევებში, როდესაც კომისია აპირებს ჯარიმის გამოყენებას, განსაკუთრებით კარტელური შეთანხმებების საქმეებში, სადაც პრიორიტეტულია დარღვევის დადგენა და სადამსჯელო ეფექტის უზრუნველყოფა. ასეთ შემთხვევებში გამოიყენება რეგულაციის მე-7 მუხლით გათვალისწინებული პროცედურა.⁵

2. პირობითი ვალდებულებების მიმართ მოქმედი პრინციპები

პირობითი ვალდებულებების შესახებ გადაწყვეტილებების მექანიზმი, როგორც კონკურენციის სამართლის აღსრულების ალტერნატიული ინსტრუმენტის გამოყენება ემყარება იმ ფუნდამენტურ პრინციპებს, რომლებიც განსაზღვრავს როგორც კომისიის მოქმედების ფარგლებს, ისე ამ მექანიზმის ლეგიტიმურობასა და ეფექტიანობას.

ამ კონტექსტში, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, ერთი მხრივ, კომისიის **დისკრეციულ უფლებამოსილებას** — როგორც ვალდებულებების შესახებ გადაწყვეტილების მიღების, ისე მისი შინაარსის განსაზღვრის ეტაპზე, ხოლო მეორე მხრივ — **პროპორციულობის პრინციპს**, რომელიც ზღუდავს ამ დისკრეციის განხორციელებას და უზრუნველყოფს მიღებული ზომების შესაბამისობას გამოვლენილ კონკურენციულ პრობლემებთან.

2.1. დისკრეციულობა

კონკურენციის სამართლებრივ დავებში პირობითი გადაწყვეტილების მექანიზმის გამოყენება უკავშირდება კომისიის **დისკრეციას** გამოიყენოს ვალდებულებების შესახებ გადაწყვეტილება.

კერძოდ, ეს დისკრეცია ორ ნაწილად იყოფა: პირველი — როდესაც კომისია წყვეტს, *გამოიყენოს თუ არა პირობითი ვალდებულებების პროცედურა (მე-9 მუხლი) დარღვევის დამდგენი გადაწყვეტილების (მე-7 მუხლი) ნაცვლად, მეორე — როდესაც კომისია აფასებს, რამდენად შეესაბამება შეთავაზებული ვალდებულებები მის მიერ წინასწარ შეფასებაში განსაზღვრულ კონკურენციულ პრობლემებს და რამდენად ეფექტიანად მოხდება ამ ვალდებულებების შესრულების შედეგად პრობლემების აღმოფხვრა, ისე რომ საჭირო არ იყოს საქმის არსებითი მოკვლევა და დარღვევის დადგენა.*

⁵ Jonathan Faull, Ali Nikpay (რედ.), op. cit., პუნქტი 2.127, გვ. 130.

№1/2003 რეგულაციის მე-9 მუხლის ტექსტი ითვალისწინებს, რომ კომისიას შეუძლია მიიღოს ნებისმიერი ზომა, რომელიც „პასუხობს“ მის მიერ განსაზღვრულ კონკურენციულ პრობლემებს, რაც წარმოადგენს უფრო დაბალ სამართლებრივ სტანდარტს უფრო ფართო ჩარევების გასამართლებლად.

ზოგადად, იურისდიქციების დონეზე, პირობითი ვალდებულებების მიმართ მოთხოვნები, ისევე როგორც მათი გამოყენების პრინციპები შესაძლოა, თავისებურად იყოს დადგენილი, მაგალითად, საფრანგეთის კონკურენციის უწყების მიხედვით, ვალდებულებები უნდა იყოს **რელევანტური, სანდო და შემოწმებადი**,⁶ გაერთიანებული სამეფოს სამართლიანი ვაჭრობის ოფისის მიხედვით კი, ვალდებულებები უნდა იყოს **მკაფიო და თვითაღსრულებადი**, ანუ მათი შესრულება არ უნდა იყოს დამოკიდებული ისეთი მესამე პირის ნებაზე, რომელიც თავად არ არის ამ ვალდებულებებით შებოჭილი.⁷

ამ მრავალფეროვანი მიდგომების გათვალისწინებით, ერთი მხრივ, აუცილებელია იმ კრიტერიუმების იდენტიფიცირება, რომლებიც განსაზღვრავს ვალდებულებების გამოყენების მიზანშეწონილობასა და ეფექტიანობას, ხოლო მეორე მხრივ — იმ საზღვრების დადგენა, რომლებიც ზღუდავს ამ მექანიზმის გამოყენებას, განსაკუთრებით დარღვევის სიმძიმისა და კონკურენციის სამართლის აღსრულების მიზნების გათვალისწინებით.

2.1.1. პირობითი ვალდებულებების მექანიზმი, როგორც კომისიის დისკრეციული უფლებამოსილება

OECD-ის რეკომენდაცია კონკურენციის სამართლის აღსრულებაში გამჭვირვალობისა და პროცედურული სამართლიანობის შესახებ⁸ მიუთითებს, რომ აუცილებელია კონკურენციის სამართლის აღსრულება იყოს არადისკრიმინაციული, პროპორციული და თანმიმდევრული.⁹

ბევრ წევრ სახელმწიფოში, ვალდებულებების შესახებ გადაწყვეტილებები წარმოადგენს ფორმალური გადაწყვეტილებების ყველაზე დიდ ნაწილს იმ საქმეებში, რომლებიც არ ეხება „მძიმე“ (hard-core) კარტელს.¹⁰ ზოგიერთ იურისდიქციაში, ეს ფაქტობრივად წარმოადგენს ერთადერთ მნიშვნელოვან შეზღუდვას ვალდებულებების შესახებ

⁶ საფრანგეთის კონკურენციის ორგანო (Autorité de la Concurrence), Notice on Competition Commitments, 2 მარტი 2009, გვ. 6, პუნქტი 34, იხ. ასევე, OECD, *Co-operative Antitrust in Remedy Design – Note by France*, 3 December 2025, გვ.2, ხელმისაწვდომია: [https://one.oecd.org/document/DAF/COMP/WP3/WD\(2025\)35/en/pdf](https://one.oecd.org/document/DAF/COMP/WP3/WD(2025)35/en/pdf) [24.04.2026].

⁷ ევროკომისია, *Notice on Best Practices for the Conduct of Proceedings concerning Articles 101 and 102 TFEU*, OJ C 308/6, პუნქტი 128.

⁸ იხ. OECD (2021), *Recommendation on Transparency and Procedural Fairness in Competition Law Enforcement*, ხელმისაწვდომია: <https://legalinstruments.oecd.org/en/instruments/OECD-LEGAL-0465>. [03.04.2023].

⁹ OECD (2019), *The divestiture of assets as a competition remedy. Stocktaking of international experiences*, პუნქტი II.3, ხელმისაწვდომია: <https://www.oecd.org/daf/competition/divestiture-of-assets-competition-remedy-ENG-web.pdf>. [25.03.2026].

¹⁰ Heike Schweitzer, op. cit., გვ.5.

გადაწყვეტილებების გამოყენებისას. ზოგიერთ ეროვნულ გაიდლაინში კი განსაზღვრულია მინიმალური სტანდარტი, რომლის დაცვაც საჭიროა ვალდებულებების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას. მაგალითად, საფრანგეთის კონკურენციის უწყება განიხილავს ვალდებულებებს მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც სავარაუდო დარღვევა უკვე საკმარისად მკაფიოა იმ დონეზე, რაც დროებითი ზომების დასაკისრებლად არის საჭირო და ამის დასადგენად სრული მოკვლევა საჭირო არ არის.¹¹

ევროკავშირის დონეზე კომისიას აქვს ფართო დისკრეცია, როგორც თავისი აღსრულების პრიორიტეტების განსაზღვრაში, ასევე, თითოეული საქმის განხილვისას - მიიღოს აკრძალვის შესახებ გადაწყვეტილება (7(1) მუხლი/Finding and termination of infringement), ან ვალდებულებების შესახებ გადაწყვეტილება (9(1) მუხლი/Commitment decision).¹² ეს არჩევანი დამოკიდებულია კონკრეტული საქმის თავისებურებებსა და კომისიის მიზნებზე.

2010 წლის 29 ივნისის ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება *Alrosa*-ს საქმეზე,¹³ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ვალდებულებების შესახებ გადაწყვეტილებების (Article 9) განმარტებისათვის.

კერძოდ, სასამართლომ განმარტა, თუ რა ფარგლები აქვს კომისიის დისკრეციას და ამით მნიშვნელოვნად განსხვავებული მიდგომა დაადგინა, ვიდრე პირველ ინსტანციაში საერთო სასამართლომ, რომლის გადაწყვეტილებაც ამ საქმეზე გაუქმდა.

კომისიის არჩევანთან დაკავშირებით (მე-7 vs მე-9 მუხლი), მართლმსაჯულების სასამართლო ხაზს უსვამს მე-9 მუხლის უპირატესობებს — სისწრაფეს და პროცედურულ ეკონომიას.¹⁴ თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მე-9 მუხლი ყოველთვის უპირატესია.

სასამართლო, ასევე, მიუთითებს, რომ კომისიამ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს იმ მიზნების გათვალისწინებით, რომლებიც მას აქვს კონკურენციის სამართლის აღსრულებაში.¹⁵ რეალურად, ვალდებულებების გადაწყვეტილება შექმნილია, როგორც ალტერნატივა დარღვევის დამდგენი გადაწყვეტილებისთვის.

ამიტომ, კომისიამ თითოეულ საქმეში უნდა შეაფასოს რომელი ინსტრუმენტი უფრო შეესაბამება კონკრეტულ გარემოებებს. ამ არჩევანში ერთი ინსტრუმენტის ძლიერი მხარე ხშირად მეორის სისუსტეა. მაგალითად, მე-7 მუხლის ფარგლებში მისაღები გადაწყვეტილება უფრო ხანგრძლივი და რთული პროცესია, მაგრამ შედეგად ადგენს

¹¹ *Autorité de la Concurrence*, op. cit., პუნქტი 18.

¹² ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო (ECJ), 2010 წლის 29 ივნისი, საქმე C-441/07 P, *Alrosa v Commission*, ECR 2010 I-5949, პარა. 94.

¹³ პირველი ინსტანციის სასამართლოს 2007 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილება, საქმე T-170/06, *Alrosa v Commission*, OJ C 199/37, 25 აგვისტო 2007 (შემდგომში — „*Alrosa*“). 2009 წლის 1 დეკემბრიდან პირველი ინსტანციის სასამართლო იწოდება საერთო სასამართლოდ (General Court).

¹⁴ ECJ, *Alrosa*, პარა. 35.

¹⁵ ECJ, *Alrosa*, პარა. 40.

დარღვევას და იძლევა ჯარიმის დაკისრების შესაძლებლობას,¹⁶ რაც მე-9 მუხლის შემთხვევაში არ ხდება.

2.1.2. პირობითი ვალდებულებების გამოყენების კრიტერიუმები და ფარგლები

კომისიის მიერ დისკრეციული უფლებამოსილების არსებობა ავტომატურად არ განსაზღვრავს მისი გამოყენების ფარგლებს. პრაქტიკაში, ცენტრალური მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ რომელი ინსტრუმენტი უზრუნველყოფს უფრო ეფექტიანად კონკურენციის სამართლის მიზნების მიღწევას კონკრეტულ საქმეში - ვალდებულებების შესახებ გადაწყვეტილება თუ დარღვევის დამდგენი გადაწყვეტილება.

პირობითი ვალდებულებების შესახებ გადაწყვეტილებას აქვს რამდენიმე უპირატესობა, კერძოდ:

- უფრო სწრაფი გავლენის მოხდენა ბაზარზე და პრობლემის სწრაფი გადაწყვეტა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ვალდებულებები ადრეულ ეტაპზეა შეთავაზებული;
- განსაკუთრებული ეფექტის მატარებელია სწრაფად განვითარებად ბაზრებზე (მაგალითად, ციფრულ ბაზრებზე), სადაც დროული რეაგირება ხელს უშლის კონკურენტების ბაზრიდან განდევნას;
- ვალდებულებები შეიძლება იყოს უფრო ეფექტიანი, რადგან მიმართულია მომავალი ქცევის შეცვლაზე და ზოგჯერ სცილდება იმ ზომებს, რომლებსაც კომისია შეძლებდა დაეკისრებინა აკრძალვის გადაწყვეტილებით;
- ვინაიდან ვალდებულებებს თავად მხარე აყალიბებს, მათი შესრულება შეიძლება იყოს უფრო სწრაფი;
- ბაზრის ტესტის პროცესში მესამე პირების ჩართულობა საშუალებას აძლევს კომისიას მიიღოს მნიშვნელოვანი უკუკავშირი და საჭიროების შემთხვევაში გააუმჯობესოს ვალდებულებები.¹⁷

მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ განხილული მიდგომა თანაბრად ვრცელდება როგორც TFEU-ის¹⁸ 101-ე (კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმებები), ისე 102-ე (დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება) მუხლით გათვალისწინებულ საქმეებზე, კარტელების შემთხვევაში დარღვევის სიმძიმე იმდენად დიდია, რომ მე-7 მუხლის გამოყენება პრაქტიკაში უფრო ეფექტიანად მიიჩნევა, რადგანაც ჯარიმის დაკისრება და დარღვევის დადგენა:

¹⁶ Wouter P.J. Wils, *Settlements of EU Antitrust Investigations: Commitment Decisions under Article 9 of Regulation No. 1/2003*, *World Competition* 29(3), 2006, გვ. 349.

¹⁷ „Remedies and Commitments in Abuse Cases – Contribution from the European Union“, OECD-ის *OECD Global Forum on Competition*, სესია IV, 1–2 დეკემბერი 2022, პუნქტები: 7–8.

¹⁸ ევროპის კავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულება (TFUE), ოფიციალური ჟურნალი C 202, 7 ივნისი 2016, გვ. 47.

- პირდაპირ ზემოქმედებს კანონდამრღვევ ეკონომიკურ აგენტებზე;
- ქმნის შემაკავებელ ეფექტს სხვა ეკონომიკური აგენტებისათვის,
- ხსნის გზას ზიანის ანაზღაურების მოთხოვნებისთვის.

ეს ეფექტები იმდენად ძლიერია, რომ მათი ჩანაცვლება მხოლოდ სწრაფი გადაწყვეტით (მე-9 მუხლით) პრაქტიკაში ძნელად გამართლდება.¹⁹

თუ ასეთ შემთხვევაში მესამე პირი გაასაჩივრებს მე-9 მუხლის გადაწყვეტილებას, სასამართლოს შეიძლება ჰქონდეს სერიოზული საფუძველი დაასკვნას, რომ კომისიამ დაუშვა აშკარა შეცდომა და საქმე უნდა გადაწყდეს მე-7 მუხლის საფუძველზე.²⁰

თუმცა პრაქტიკაში ეს საკითხი თითქმის არ დგას, რადგან კომისია თავიდანვე უარს ამბობს ვალდებულებების მიღებაზე კარტელების საქმეებში და არ ჩანს ნიშნები, რომ ამ მიდგომას შეცვლის უახლოეს მომავალში. ეს ლოგიკური შედეგია №1/2003 რეგულაციის მე-13 პრეამბულის დებულებისა, რომლის მიხედვითაც: **„ვალდებულებების შესახებ გადაწყვეტილება არ არის მიზანშეწონილი იმ შემთხვევებში, როდესაც კომისია გეგმავს ჯარიმის დაკისრებას.“**²¹

ამასთან, მოსაზრება, იმის შესახებ, რომ ზოგი საქმე „ძალიან სერიოზულია“ იმისთვის, რომ ვალდებულებები იქნას მიღებული, ხშირად ბუნდოვანი და დაუსაბუთებელია. ანალოგიურად, მიდგომა, რომ **მე-9 მუხლის გამოყენება უნდა შემოიფარგლოს „ნაკლებად სერიოზული“ საქმეებით,**²² რათა რესურსები მიმართული იყოს უფრო მძიმე დარღვევების გამოვლენასა და გადაწყვეტაზე მე-7 მუხლის ფარგლებში არ მიიჩნევა ლოგიკურად,²³ რადგან ამგვარი მიდგომა ფაქტობრივად შეზღუდვდა კომისიის დისკრეციას კონკურენციის სამართლის აღსრულებაში, რადგან კომისიას თავი უნდა შეეკავებინა ვალდებულებების შესახებ გადაწყვეტილებების გამოყენებისგან სერიოზულ საქმეებში და გამოიყენოს მხოლოდ დარღვევის დამდგენი გადაწყვეტილებები.

აღნიშნულს ამყარებს ის გარემოებაც, რომ კონკურენციის საქმის „სერიოზულობა“ შედარებითი ცნებაა.²⁴ ამ შემთხვევაში, ყურადღება არ უნდა გამახვილდეს მხოლოდ

¹⁹ Piero Cavicchi, Working Paper The European commission's discretion as to the adoption of Article 9 commitment decisions: Lessons from Alrosa Discussion Paper, No. 3/11, გვ.11.

²⁰ ამგვარ პირობებში, პრეამბულის 13-ე პუნქტის ფორმულირება შესაძლოა გამოყენებულ იქნეს იმ დასკვნისთვის, რომ კომისიამ, მე-9 მუხლის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებებისას, ყოველთვის უნდა უზრუნველყოს კონკურენციის სამართლის წესების „შესაბამისი“ (appropriate) და არა „ოპტიმალური“ (optimal) განხორციელება, რათა თავიდან აიცილოს სასამართლოში მისი გადაწყვეტილებების წარმატებით გასაჩივრების რისკი.

²¹ Piero Cavicchi, op. cit., გვ.7-8.

²² Eddy de Smijter, Lars Kjoelbye, “The Enforcement System under Regulation 1/2003”, in Jonathan Faull and Ali Nikpay (eds), *The EC Law of Competition*, Oxford University Press, 2007, § 2.121, გვ. 125.

²³ შეად. Alberto Pera და Michele Carpagano, *The law and practice of commitment decisions: a comparative analysis*, E.C.L.R., 2008, 29(12), გვ. 671.

²⁴ Piero Cavicchi, op. cit., გვ.7-8.

შესაძლო დარღვევის სიმძიმეზე, არამედ მთლიანად საქმის სირთულეზე. დარღვევის სიმძიმე, რომელსაც კომისია აფასებს მისი ხანგრძლივობის, მასშტაბისა და კონკურენციაზე სიტუაციული გავლენის მიხედვით,²⁵ მხოლოდ ერთ-ერთი მაჩვენებელია და არა ერთადერთი.

პრაქტიკაში, 2012-2022 წლებში კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ანალიზი²⁶ აჩვენებს, რომ 101-ე მუხლის საქმეებში უფრო ხშირად მიიღება აკრძალვის შესახებ გადაწყვეტილება, ვიდრე ვალდებულებების შესახებ გადაწყვეტილება.

როგორც უკვე აღინიშნა, კარტელების საქმეებში ვალდებულებების შესახებ გადაწყვეტილება, როგორც წესი, არ მიიჩნევა საკმარისად ეფექტიანად, რადგან ასეთი დარღვევები განსაკუთრებით მძიმეა და საჭიროებს ძლიერ დამთრგუნველ ეფექტს, რაც საუკეთესოდ მიიღწევა ჯარიმის დაკისრებით.

კარტელების საქმეების გამორიცხვის შემთხვევაშიც კი, 101-ე მუხლის ფარგლებში მაინც უფრო მეტი აკრძალვის გადაწყვეტილება მიიღება, ვიდრე ვალდებულებების გადაწყვეტილება. 2012 წლიდან კომისიამ მიიღო 37 გადაწყვეტილება 101-ე მუხლის დარღვევებთან დაკავშირებით, საიდანაც:

- 22 იყო აკრძალვის შესახებ გადაწყვეტილება,
- ხოლო 15 — ვალდებულებების შესახებ გადაწყვეტილება.

2.2. პროპორციულობა

უმეტეს იურისდიქციებში პროპორციულობა წარმოადგენს სამართლის ძირითად პრინციპს, რაც ნიშნავს, რომ მაშინაც კი, თუ იგი პირდაპირ არ არის მითითებული კონკურენციის კანონში, პრაქტიკაში მაინც მოქმედებს.

მაგალითად, შეერთებულ შტატებში პროპორციულობამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა სასამართლო პრაქტიკის განვითარებაში,²⁷ მიუხედავად იმისა, რომ ეს პრინციპი ფორმალურად არ არის კოდიფიცირებული.

ანალოგიურად, მიუხედავად იმისა, რომ №1/2003 რეგულაციის მე-9 მუხლი, განსხვავებით მე-7 მუხლისგან, პირდაპირ არ მიუთითებს პროპორციულობაზე, პროპორციულობის

²⁵ European Commission, *Notice on the Handling of Complaints by the Commission under Articles 81 and 82 of the EC Treaty*, OJ C 101, 27 April 2004, §44, ხელმისაწვდომია: <https://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:C:2004:101:0065:0077:EN:PDF> [22.04.2026].

²⁶ *OECD Global Forum on Competition*, op. cit., პუნქტი 10.

²⁷ E. Thomas Sullivan, “Antitrust Remedies in the U.S. and EU: Advancing a Standard of Proportionality”, *The Antitrust Bulletin*, Summer 2003, გვ. 377–425.

პრინციპი მაინც წარმოადგენს ევროკავშირის სამართლის ზოგად პრინციპს და ვრცელდება კომისიის გადაწყვეტილებებზეც.²⁸

№1/2003 რეგულაციის მე-9 მუხლის ფარგლებში, პროპორციულობის პრინციპის მიხედვით, კომისიის ამოცანა შემოიფარგლება იმით, რომ გადაამოწმოს, პასუხობს თუ არა ვალდებულებები მის მიერ გამოხატულ კონკურენციულ პრობლემებს და ხომ არ არსებობს ნაკლებად დამძიმებელი ვალდებულებები, რომლებიც ამავე პრობლემებს საკმარისად აგვარებს.²⁹

ამ კონტექსტში, პროპორციულობის შეფასება, ერთი მხრივ, მოითხოვს თავად ვალდებულების ბუნების ანალიზს, კერძოდ, მისი შინაარსისა და ინტენსივობის განსაზღვრას, ხოლო მეორეს მხრივ — მისი დროითი ფარგლების შეფასებას, ანუ ვადის შესაბამისობის დადგენას კონკურენციულ პრობლემასთან.

2.2.1. ვალდებულების ბუნება, როგორც პროპორციულობის კრიტერიუმი

იქიდან გამომდინარე, რომ №1/2003 რეგულაციის მე-7 და მე-9 მუხლებს განსხვავებული ბუნება და მიზნები აქვთ,³⁰ ევროპული სასამართლო პრაქტიკაში არ მიიჩნევა საჭიროდ მათი ერთმანეთთან შედარება. ევროკომისიის შეტყობინება TFEU-ის 101-ე და 102-ე მუხლებთან დაკავშირებული წარმოების საუკეთესო პრაქტიკის შესახებ (შემდგომში “შეტყობინება”)³¹ ამ განსხვავებას ადასტურებს 115-ე პუნქტში, სადაც პირდაპირ აღნიშნულია, რომ კომისია არ არის ვალდებული შეადაროს ასეთი ნებაყოფლობითი ვალდებულებები იმ ზომებს, რომელთა დაკისრებაც მას შეუძლია მე-7 მუხლის საფუძველზე და არ უნდა მიიჩნიოს არაპროპორციულად ის ვალდებულებები, რომლებიც სცილდება ასეთ ზომებს.³²

²⁸ *Elgar Commentaries on European Competition Law: A Case Commentary*, მე-2 გამოცემა, Edward Elgar Publishing, გვ.356.

²⁹ ECJ *Alrosa*, § 41.

³⁰ ამრიგად, კომისიის ვალდებულებები, რომლებიც გამომდინარეობს პროპორციულობის პრინციპის დაცვიდან ამ ორი დებულების ფარგლებში, ასევე განსხვავებულია.

³¹ European Commission, „Commission notice on best practices for the conduct of proceedings concerning Articles 101 and 102 TFEU“, ოფიციალური ჟურნალი (OJ) C 308/06, 20 ოქტომბერი 2011.

³² ეს საკითხი ასევე განხილულია ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში, მათ შორის *Alrosa*-ს საქმეში და უფრო გვიან *PGNiG*-ის გადაწყვეტილება (ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო (ECJ), 2019 წლის 4 დეკემბერი, *PGNiG Supply & Trading GmbH v European Commission*, საქმე C-117/18 P).

ამ პროცესში, კომისიას არ ევალება შეადაროს ვალდებულებები იმ შესაძლო დარღვევის დამდგენ გადაწყვეტილებას, რომელსაც თეორიულად მიიღებდა,³³ ან თავად მოითხოვოს უფრო მსუბუქი ვალდებულებები.³⁴

თუ ვალდებულებების პროპორციულობა შეფასდებოდა იმგვარად, რომ ის უნდა შეედაროს შესაძლო დარღვევის გადაწყვეტილებას, ეს პრაქტიკაში ნიშნავს, რომ კომისიას უნდა ეწარმოებინა **ორი პარალელური პროცესი**:

- ერთი მხრივ - ემსჯელა და შეთანხმებულიყო მხარესთან ვალდებულებებზე,
- მეორე მხრივ - პარალელურად ეფიქრა, როგორი იქნებოდა დარღვევის დამდგენი გადაწყვეტილება „საჭიროების შემთხვევაში“.

ეს შედეგი ცნობილია ევროპული სასამართლოსთვისაც, რომელიც აღნიშნავს, რომ ეკონომიკური აგენტები, რომლებიც სთავაზობენ ვალდებულებებს, **გაცნობიერებულად თანხმდებიან**, რომ მათ მიერ შეთავაზებული ვალდებულებები შეიძლება იყოს უფრო ფართო, თუმცა მათთვის ეს მაინც უფრო მისაღებია, ვიდრე დარღვევის დადგენა და ჯარიმის დაკისრება.³⁵ შესაბამისად, საბოლოოდ, **პროპორციულობის შეფასებისას მთავარი არის არა ეკონომიკური აგენტის, არამედ კომისიის ხედვა**.

რეალურად, ცხადია, თუ კომისიას აქვს შესაძლებლობა კომპანიას უფრო მეტი ვალდებულება დააკისროს (რათა თავიდან აიცილოს დარღვევის დადგენა) და ამით უკეთეს შედეგს მიაღწიოს, ის შეეცდება მაქსიმალურად გამოიყენოს ეს შესაძლებლობა. ამ პრაქტიკის კარგი მაგალითია **Coca-Cola საქმე**,³⁶ სადაც კომისიამ მიიღო და სავალდებულოდ აქცია ისეთი ვალდებულებებიც, რომლებიც სცდებოდა საქმის უშუალო ფარგლებს, ანუ სავალდებულოდ აქცია ისეთი ვალდებულებები, რომლებიც უფრო ფართო იყო, როგორც გეოგრაფიულად,³⁷ ისე პროდუქციულ ჭრილში. კერძოდ, ვალდებულებები გავრცელდა უფრო ფართო ბაზრებზე და მოიცავდა სხვადასხვა პროდუქტის კატეგორიებს, ამასთანავე ითვალისწინებდა ექსკლუზიურობის შეზღუდვას, ფასდაკლების პრაქტიკის აკრძალვას და

³³ შესაბამისად, არ არსებობს საფუძველი იმისა, რომ ის ზომა, რომელიც შესაძლოა დაწესდეს რეგულაცია №1/2003-ის მე-7 მუხლის ფარგლებში, გამოყენებულ იქნეს როგორც საყრდენი კრიტერიუმი იმ ვალდებულებების მასშტაბის შეფასებისათვის, რომლებიც მიღებულია ამავე რეგულაციის მე-9 მუხლის საფუძველზე, ან რომ ამ ზომას გადამეტებული ნებისმიერი ვალდებულება ავტომატურად ჩაითვალოს არაპროპორციულად“, იხ.: ECJ *Alrosa*, § 47.

³⁴ კომისია არ არის ვალდებული თავად მოიძიოს უფრო ნაკლებად შემზღუდველი ან უფრო ზომიერი გადაწყვეტილებები, ვიდრე მისთვის შეთავაზებული ვალდებულებები“, იხ.: ECJ *Alrosa*, § 61.

³⁵ ECJ *Alrosa*, § 48.

³⁶ European Commission, Case COMP/39.116 – *Coca-Cola*, 2005 წლის 22 ივნისის პირობითი ვალდებულებების შესახებ გადაწყვეტილება.

³⁷ კერძოდ, მიუხედავად იმისა, რომ საქმის წარმოება ოთხ წევრ სახელმწიფოს მოიცავდა, ვალდებულებები პოტენციურად ვრცელდებოდა ყველა წევრ სახელმწიფოზე, იმ პირობით, რომ გარკვეული საბაზრო პირობები დაკმაყოფილებოდა.

თაროების სივრცის რეგულირებას, რაც პრაქტიკულად უზრუნველყოფდა ბაზრის ქცევის ფართო კორექტირებას.

Microsoft-ის Internet Explorer-ის საქმეში³⁸ მიღებული ვალდებულებების შესახებ გადაწყვეტილებაში, რომელიც შეეხებოდა ბრაუზერის წინასწარ ინსტალაციას Windows ოპერაციულ სისტემაში, კომისია არ დაკმაყოფილდა მხოლოდ პროდუქტების განცალკევების მოთხოვნით. ამის ნაცვლად, მან დააწესა ვალდებულება „browser choice screen“-ის დანერგვის შესახებ, რაც მომხმარებლებს აძლევდა ინფორმირებულ არჩევანს და ამავდროულად ზრდიდა კონკურენტი ბრაუზერების ხილვადობისა და არჩევის შესაძლებლობას.³⁹

ზოგადად, ის ფაქტი, რომ ევროპული სასამართლო არ ავალდებულებს კომისიას თავად შესთავაზოს კომპანიებს ნაკლებად დამამძიმებელი (მაგრამ მაინც ეფექტიანი) ვალდებულებები, კომისიას ძალიან ხელსაყრელ პოზიციაში აყენებს.

პირობითი ვალდებულებების გადაწყვეტილების პროცესის განმავლობაში და საკუთარი პრიორიტეტების შესაბამისად, კომისია ფაქტობრივად თავისუფალია აქტიური როლი შეასრულოს — შეცვალოს, ხელახლა წამოიწყოს ან წახალისოს ისეთი ვალდებულებები, რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამება სამართლიანი კონკურენციის მიზნებს.

ამავდროულად, ფორმალურად (de iure) მისი როლი უცვლელია იმაში, რომ შეამოწმოს, კომპანიის მიერ ნებაყოფლობით შეთავაზებული ვალდებულებები საკმარისად აგვარებს თუ არა კონკურენციულ პრობლემებს. ამ პროცესში, როგორც უკვე აღინიშნა, *კომისიას შეუძლია მიაღწიოს ისეთ ვალდებულებებსაც, რომლებიც სცდება იმ ზომებს, რასაც თავად დააკისრებდა მე-7 მუხლის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებით.*

ამავდროულად, პრაქტიკაში შეიძლება მოხდეს ისეც, რომ კომისიამ ჯერ არაოფიციალურად შეათანხმოს ვალდებულებები და შემდეგ უკვე წინასწარ შეფასებაში ისე ჩამოაყალიბოს კონკურენციული პრობლემები, რომ ეს ვალდებულებები მათ „ზუსტად მოერგოს“.

2.2.2. ვალდებულების ვადა, როგორც პროპორციულობის კრიტერიუმი

პირობითი ვალდებულებების კუთხით, პროპორციულობის ცნება უნდა განიხილებოდეს არა მხოლოდ ვალდებულების ბუნების განსაზღვრის ჭრილში (იქნება ის სტრუქტურული თუ ქცევითი და, ქცევითის შემთხვევაში, რა ტიპის), არამედ მისი ხანგრძლივობის განსაზღვრის კუთხითაც.

³⁸ ევროკავშირის საერთო სასამართლო, 17 სექტემბერი 2007, Microsoft Corp. v European Commission, Case T-201/04 (COMP/C-3/37.792).

³⁹ იხ. ევროკომისია, იხ. ევროკომისია, „კომისია იღებს Microsoft-ის ვალდებულებებს მომხმარებლებისთვის ბრაუზერის არჩევანის უზრუნველსაყოფად“, პრესრელიზი IP/09/1941, 15 დეკემბერი 2009. ხელმისაწვდომია: https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/ip_09_1941 [27.04.2026].

პირობითი ვალდებულებები შეიძლება,⁴⁰ ხოლო ზოგიერთ იურისდიქციაში აუცილებლად უნდა დაწესდეს განსაზღვრული ვადით.⁴¹

ვალდებულებების ვადასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად იმისა, რომ №1/2003 რეგულაციის 9(1) მუხლი ითვალისწინებს, რომ ასეთი გადაწყვეტილება შეიძლება იყოს დროით განსაზღვრული, იგი არ მოითხოვს სავალდებულოდ ვადის განსაზღვრას. შესაბამისად, პრინციპულად არ არსებობს დაბრკოლება, რომ კომისიამ ვალდებულებები სავალდებულოდ გამოაცხადოს განუსაზღვრელი ვადით.⁴²

კონკურენციის აღმასრულებელი ორგანოების პრაქტიკა აჩვენებს, რომ ზომების მოქმედების ვადა შეიძლება განსხვავდებოდეს. ევროკომისია უმეტეს შემთხვევაში სავალდებულო სახეს აძლევს **5 წლის ვადით**, თუმცა, ზოგ შემთხვევაში უფრო მიზანშეწონილად მიიჩნევს **7 ან 10 წლიან პერიოდსაც**.⁴³

ზომების მოქმედების ვადა უნდა იყოს დაბალანსებული ორ ერთმანეთისგან განსხვავებულ მიზანს შორის: ერთი მხრივ, ის უნდა იყოს საკმარისად ხანგრძლივი, რათა ზომის ეფექტები რეალურად გამოვლინდეს, ხოლო მეორე მხრივ — საკმარისად მოკლე, რათა გათვალისწინებულ იქნას ბაზრების დინამიკური ხასიათი.⁴⁴

⁴⁰ Autorité de la Concurrence, op. cit., პარა. 45 „პირობითი ვალდებულებების შესახებ გადაწყვეტილება შეიძლება ძალაში დარჩეს განუსაზღვრელი ვადით, როდესაც კონკურენციული პრობლემების აღმოფხვრა საჭიროებს გრძელვადიან რეგულირებას, ან, პირიქით, შეიძლება მოქმედებდეს განსაზღვრული ვადით, როდესაც კონკურენტული გარემოს აღდგენა მოსალოდნელია.“

⁴¹ იხ. გერმანიის კონკურენციის შეზღუდვების წინააღმდეგ კანონი (GWB), პარა.32, იხ. ასევე, დიდი ბრიტანეთის სამართლიანი ვაჭრობის ოფისის (OFT), კონკურენციის აღსრულების გმზაკვლევი, დეკემბერი, 2004, გვ. 12, პარა.4.8: „ვალდებულებები, როგორც წესი, მიიღება განსაზღვრული ვადით. ამ ვადის ამოწურვისთანავე ისინი ითვლება შეწყვეტილად“. ხელმისაწვდომია: <https://assets.publishing.service.gov.uk/media/5a7cd5bd40f0b6629523c194/oft407.pdf> [16.04.2026].

⁴² Weijer VerLoren van Themaat, Berend Reuder (რედ.), op. cit., გვ.355.

⁴³ P.14, მაგალითად, კომისიამ ვალდებულებები სავალდებულოდ განსაზღვრა 7 წლის ვადით საქმეში *Reuters Instrument Codes* (European Commission, Case AT.39654 – *Reuters Instrument Codes*, 20.12.2012), ხოლო 10 წლის ვადით საქმეებში *Swedish Interconnectors* (European Commission, Case COMP/39.351 – *Swedish Interconnectors*, 14.04.2010) და *Aspen* (European Commission, Case AT.40394 – *Aspen*, 10.02.2021).

Swedish Interconnectors (2010) საქმეში 10-წლიანი ვადა კომისიამ განსაკუთრებით საჭიროდ მიიჩნია, რადგან ზომები შეიცავდა ქვევით ელემენტებს, რომლებიც უკავშირდებოდა ელექტროენერჯის საბიდინგო ზონების კონფიგურაციის ცვლილებას. აღნიშნული ცვლილებები შესაძლოა საჭირო გამხდარიყო დროთა განმავლობაში მოთხოვნა-მიწოდების ცვლილების გამო (გადაწყვეტილების 96-ე პუნქტი). *Aspen*-ის საქმეში კომისიამ დაადგინა, რომ ფასების შემცირებასთან დაკავშირებული ზომა მოქმედებდა 10 წლის განმავლობაში, ამასთან შესაძლებელი იყო მისი გადახედვა 5 წლის შემდეგ. კომისიის შეფასებით, ასეთი მოდელი — საწყისი 5-წლიანი ვალდებულება და დამატებითი 5-წლიანი პერიოდი — წარმოადგენს პროპორციულ და საკმარისად ხანგრძლივ გადაწყვეტას მესამე პირების ინტერესების დასაცავად.

იხ. *OECD (2022), Remedies and commitments in abuse cases, OECD Competition Policy Roundtable Background Note*, გვ.14, ხელმისაწვდომია: www.oecd.org/daf/competition/remedies-and-commitments-in-abuse-cases-2022.pdf [20.04.2026].

⁴⁴ იქვე.

„Microsoft-ის Internet Explorer-ის საქმეში მიღებული ვალდებულებების შესახებ გადაწყვეტილებაში ვალდებულებების მოქმედების 5-წლიანი ვადის განსაზღვრისას კომისიამ აღნიშნა, რომ აღნიშნული პერიოდი შეესაბამებოდა სწრაფად განვითარებად ინდუსტრიას, სადაც პროდუქტების ფუნქციონალი და გამოყენება შეიძლება მოკლე დროში მნიშვნელოვნად შეიცვალოს, ხოლო ამავდროულად იყო საკმარისად ხანგრძლივი კონკურენციის შეზღუდვის რისკის აღმოსაფხვრელად და მომხმარებლებისთვის რეალური არჩევანის უზრუნველსაყოფად.⁴⁵

ბაზრების განვითარების პარალელურად, აღებულმა პირობითმა ვალდებულებებმა შეიძლება დაკარგოს ეფექტიანობა, რადგან იცვლება ბაზრის მოცემულობა. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სწრაფად განვითარებად, ციფრულ და ინოვაციაზე დაფუძნებულ სექტორებში. ამიტომ, კონკურენციის ორგანოებს უნდა ჰქონდეთ დისკრეცია:

- შეცვალონ ზომები,
- გაახანგრძლივონ მათი მოქმედების ვადა, ან
- საჭიროების შემთხვევაში, შეწყვიტონ მათი მოქმედება ვადამდე.

ასევე, შესაძლებელია გადაწყვეტილებებში ჩაიდოს „sunset clause“ (ვადის ამოწურვის პირობა), რომლის მიხედვითაც ზომები ავტომატურად შეწყდება, თუ ბაზრის გარკვეული პირობები დადგება.⁴⁶

ვადამდე შეწყვეტა მნიშვნელოვანია, რადგან:

- უზრუნველყოფს, რომ ზომა დარჩეს პროპორციული (არ იმოქმედოს მაშინ, როცა უკვე აღარ არის საჭირო),
- ათავისუფლებს კონკურენციის უწყებას მონიტორინგის ვალდებულებისგან, რაც ხელს უწყობს რესურსების ეფექტიან გამოყენებას.

მაგალითად, Deutsche Bahn I და II საქმეებში,⁴⁷ კომისიის პირველადი შეფასებით, მოპასუხე DB Energie-ის მიერ ტრაქციული ენერჯის ფასების პოლიტიკას შესაძლოა გამოეწვია მარჟის შეზღუდვა (margin squeeze) ქვედა დონის ბაზრებზე, კერძოდ, სარკინიგზო სატვირთო გადაზიდვებისა და შორ მანძილზე მგზავრთა გადაყვანის ბაზრებზე, რაც შეიძლება წარმოადგენდეს TFEU-ის 102-ე მუხლის დარღვევას.

კომისიის მიერ მიღებული ვალდებულებები ძირითადად მიზნად ისახავდა ტრაქციული ენერჯის ბაზარზე კონკურენციის გაძლიერებას. კერძოდ, DB Energie-ს დაეკისრა

⁴⁵ European Commission, გადაწყვეტილება 24 მარტი 2004, „EC ხელშეკრულების 82-ე მუხლის საფუძველზე წარმოების შესახებ“, საქმე COMP/C-3/37.792 – Microsoft.

⁴⁶ OECD (2022), op. cit., p.14.

⁴⁷ European Commission, Cases COMP/AT.39678 – Deutsche Bahn I and COMP/AT.39731 – Deutsche Bahn II, commitment decision under Article 9 of Regulation No 1/2003, relating to Article 102 TFEU, 18 December 2013.

ვალდებულება უზრუნველყო ელექტროენერჯის მიმწოდებელი მესამე პირების წვდომა შესაბამის ქსელზე და ხელი შეეწყოს სარკინიგზო ოპერატორების მიერ ალტერნატიულ მიმწოდებლებზე გადასვლის შესაძლებლობისთვის.

ამასთან, ვალდებულებები ითვალისწინებდა ახალი საფასო სისტემის დანერგვას ფასების შესაძლო ზრდის შეზღუდვის მიზნით, ასევე, გარკვეული კომპენსაციის (გადახდის) მექანიზმს სარკინიგზო კომპანიებისთვის. დამატებით, მნიშვნელოვანი ელემენტი იყო ინფორმაციის მიწოდების გაუმჯობესება, რათა ბაზრის მონაწილეებს ჰქონოდათ შესაძლებლობა ეფექტიანად დაეგეგმათ მიმწოდებლის შეცვლა.

ვალდებულებები იყო დროებით მოქმედი (ძირითადად, 5 წლის ვადით) და მათი მიზანი იყო კონკურენტული პირობების ჩამოყალიბება და ბაზარზე მესამე პირების შესვლის ხელშეწყობა.⁴⁸

კომისიამ წინასწარ გაითვალისწინა, რომ მიღებული ვალდებულებები შეიძლება ვადამდე შეწყვეტილიყო, თუ ერთი კალენდარული წლის განმავლობაში გერმანიაში მოქმედი ყველა სარკინიგზო საწარმოს მიერ მოხმარებული ტრაქციული ელექტროენერჯის (Traction Current) სულ მცირე 25% შეძენილი იქნებოდა დამოუკიდებელი მესამე მიმწოდებლებისგან.

შედეგად, როგორც კი მონიტორინგის შედეგად გაირკვა, ალტერნატიული მიმწოდებლების ბაზრის წილმა 50%-ს გადააჭარბა, კომისია დათანხმდა ვალდებულებების ვადამდე შეწყვეტას.

შედეგად, მიუხედავად იმისა, რომ ვალდებულებები განსაზღვრული იყო 5 წლის ვადით და უნდა ამოწურულიყო 2019 წლის 30 ივნისს, მათი მოქმედება ფაქტობრივად შეწყდა 2016 წლის 8 აპრილს, ანუ დაგეგმილ ვადაზე დაახლოებით სამი წლით ადრე.⁴⁹

3. პირობითი ვალდებულებების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცედურა

პირობითი ვალდებულებების ინსტიტუტის ეფექტიანი ფუნქციონირება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმ პროცედურულ მექანიზმებზე, რომელთა საფუძველზეც ხდება მათი შეთავაზება, შეფასება და დამტკიცება. აღნიშნული პროცედურა უზრუნველყოფს, ერთი მხრივ, კონკურენტული პრობლემების ადეკვატურ იდენტიფიკაციას, ხოლო მეორე მხრივ, მხარეთა პროცესუალური უფლებების დაცვასა და გამჭვირვალე გადაწყვეტილების მიღებას.

ევროკავშირის პრაქტიკაში ჩამოყალიბებული მოდელი, რომელიც მოიცავს წინასწარ შეფასებას, ვალდებულებების ფორმალურ წარდგენას და „ბაზრის ტესტის“ ჩატარებას, ასახავს ბალანსს ადმინისტრაციულ ეფექტიანობასა და მონაწილე სუბიექტების

⁴⁸ იქვე, პარა.78.

⁴⁹ ob. European Commission, Cases COMP/AT.39678 – Deutsche Bahn I and COMP/AT.39731 – Deutsche Bahn II, Decision on early termination of commitments.

ჩართულობას შორის. შესაბამისად, პირობითი ვალდებულებების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცედურა წარმოადგენს სტრუქტურირებულ და მრავალეტაპიან პროცესს, რომელიც მიმართულია როგორც კონკურენციის დაცვის, ისე სამართლებრივი გარანტიების უზრუნველყოფისკენ.

3.1. საქმის წინასწარი შეფასება

მას შემდეგ, რაც კომისია დარწმუნდება, რომ ეკონომიკურ აგენტებს აქვთ იმგვარი ვალდებულებების შეთავაზების რეალური მზადყოფნა, რომლებიც ეფექტურად მოაგვარებს კონკურენციულ სამართლებრივ პრობლემებს, გამოიცემა **წინასწარი შეფასება (Preliminary Assessment)**.

(EC) №1/2003 რეგულაციის მე-9 მუხლის მიხედვით, წინასწარი შეფასება აჯამებს საქმის ძირითად ფაქტებს და განსაზღვრავს იმ კონკურენციულ პრობლემებს, რომლებიც შესაძლოა გახდეს დარღვევის შესახებ გადაწყვეტილების საფუძველი.⁵⁰ წინასწარ შეფასებას, როგორც წესი, წინ უძღვის საქმის ძირითად გარემოებების შესწავლა, რადგან მის გარეშე კომისიას არ ექნება შესაძლებლობა შეაფასოს, რამდენად საკმარისია შეთავაზებული ვალდებულებები.⁵¹

წინასწარ შეფასებაში მოცემული გარემოებები წარმოადგენს შესაძლებლობას, რათა მხარეებმა ჩამოაყალიბონ შესაბამისი ვალდებულებები, რომლებიც პასუხობს კომისიის მიერ გამოკვეთილ პრობლემებს, ან დააზუსტონ უკვე განხილული ვალდებულებები.

საუკეთესო პრაქტიკის მიხედვით, კომისია გამოსცემს წინასწარ შეფასებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დარწმუნებულია ეკონომიკური აგენტების რეალურ მზადყოფნაში, წარმოადგინონ ისეთი ვალდებულებები, რომლებიც ეფექტიანად უპასუხებს გამოკვეთილ კონკურენციულ სამართლებრივ პრობლემებს. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ მხარეები არ არიან ვალდებული წარმოადგინონ სრულყოფილი პროექტი, მათ უნდა წარუდგინონ კომისიას ვალდებულებების ძირითადი ელემენტები.⁵²

წინასწარი შეფასების გამოცემამდე მხარეებს ასევე ეძლევათ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ **საქმის მიმდინარეობის შესახებ შეხვედრაში („State of Play“)**.

სანამ კომისია მიიღებს გადაწყვეტილებას, რომელიც უარყოფითად ეხება მხარის ინტერესებს — განსაკუთრებით ისეთ გადაწყვეტილებას, რომელიც ადგენს TFEU-ის 101-ე ან 102-ე მუხლის დარღვევას და მოითხოვს ამ ქმედებების აღკვეთას ან/და ჯარიმის

⁵⁰ Jonathan Faull, Ali Nikpay, op. cit., პუნქტი 4.53, გვ.340.

⁵¹ იქვე, პუნქტი 2.130, გვ.131.

⁵² იქვე, პუნქტი 2.139, გვ.134.

დაკისრებას (23-ე მუხლი), კომისია მხარეებს კიდევ აძლევს შესაძლებლობას მოისმინონ და ასევე, გამოხატონ საკუთარი პოზიცია იმ საკითხებზე, რომელზეც კომისიას აქვს პრეტენზია.⁵³

ამისთვის კომისია ამზადებს *პირველადი შეფასების დოკუმენტი (Statement of Objections)*⁵⁴ და აწვდის მას თითოეულ მხარეს, რომელიც მონაწილეობს წარმოებაში.⁵⁵

მხარეებს, რომლებიც კომისიის მიერ წინასწარ შეფასებაში მითითებული პრობლემების საპასუხოდ სთავაზობენ ვალდებულებებს, შეუძლიათ ნებისმიერ დროს მიმართონ *მოსმენის ოფიცერს (hearing officer)*, რათა უზრუნველყონ მათი საპროცესო უფლებების დაცულობა მე-9 მუხლის პროცედურის ფარგლებში.⁵⁶

ვალდებულებების განხილვის პროცესში, როგორც კომისიას, ისე შესაბამის ეკონომიკურ აგენტებს შეუძლიათ ნებისმიერ ეტაპზე შეწყვიტონ შესაბამისი განხილვები. ასეთ შემთხვევაში, კომისია, როგორც წესი, აგრძელებს ოფიციალურ წარმოებას/საქმის მოკვლევას/შესწავლას რეგულაციის (EC) №1/2003-ის მე-7 მუხლის საფუძველზე.⁵⁷

3.2. ვალდებულებების წარდგენის/შეთავაზების წესი

წინასწარი შეფასების მიღების შემდეგ, მხარეებს, როგორც წესი, აქვთ ერთი თვე, რათა ოფიციალურად წარადგინონ ვალდებულებები.⁵⁸

თუ მხარეებმა უკვე მიიღეს პირველადი შეფასების დოკუმენტი (Statement of Objections) და ამის შემდეგ გადაწყვეტენ ვალდებულებების შეთავაზებას, როგორც წესი, ამ განცხადებაზე პასუხის წარდგენის ვადა არ იზრდება. ამასთანავე, ვალდებულებების წარდგენა არ ნიშნავს, რომ მხარეები ეთანხმებიან კომისიის წინასწარ შეფასებას.

მხარეებს შეუძლიათ შესთავაზონ როგორც ქცევითი (**behavioural**), ისე სტრუქტურული (**structural**) ხასიათის ვალდებულებები, რომლებიც სათანადოდ პასუხობს იდენტიფიცირებულ კონკურენციულ სამართლებრივ პრობლემებს.⁵⁹ ამასთანავე, ისეთი

⁵³ რეგულაცია (EC) №1/2003, მუხლი 27.

⁵⁴ აკრძალვის შესახებ გადაწყვეტილებამდე მიმავალ პროცესში მნიშვნელოვანი პროცედურული ეტაპია პირველადი შეფასების დოკუმენტის (Statement of Objections) მიღება. თუმცა, მისი მიღება არ ნიშნავს, რომ გამოძიების საბოლოო შედეგი უკვე განსაზღვრულია. საქმე შეიძლება დასრულდეს ისე, რომ არც აკრძალვის შესახებ გადაწყვეტილება და არც ვალდებულებების შესახებ გადაწყვეტილება არ იქნას მიღებული, იხ. შეტყობინების 3.77 პუნქტი.

⁵⁵ შეტყობინების 3.1.1. მუხლი, 81-ე ქვეპუნქტი.

⁵⁶ ევროკომისია, პრეზიდენტის 2011 წლის 13 ოქტომბრის გადაწყვეტილება 2011/695/EU, მოსმენის ოფიცერის ფუნქციებისა და მანდატის შესახებ, მუხლი 15(1).

⁵⁷ შეტყობინების 4.2. პუნქტი.

⁵⁸ შეტყობინების მუხლი 126.

⁵⁹ იქვე, მუხლი 127, იხ. ასევე, Jonathan Faull, Ali Nikpay, op. cit., პუნქტი 4.56, გვ. 341.

სახის ვალდებულებები, რომლებიც ამ პრობლემებს სათანადოდ არ აგვარებს, კომისიის მიერ არ მიიღება.

ვალდებულებები უნდა იყოს მკაფიო (არაორაზროვანი) და თვითაღსრულებადი და მისი იმპლემენტაცია არ უნდა იყოს დაკავშირებული მესამე პირის ნებასთან. გარდა ამისა, თუ ვალდებულებების შესრულება დამოკიდებულია მესამე პირის თანხმობაზე, საწარმომ უნდა წარმოადგინოს ამ მესამე პირის თანხმობის დამადასტურებელი მტკიცებულება.⁶⁰

3.3. „ბაზრის ტესტი“ და შემდგომი კომუნიკაცია მხარეებთან

საბჭოს (EC) №1/2003 რეგულაციის 27(4) მუხლის შესაბამისად, კომისიამ ვალდებულებებისათვის სავალდებულო ხასიათის მინიჭებამდე უნდა ჩაატაროს „ბაზრის ტესტი“.

კომისია ბაზრის ტესტს ატარებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მიიჩნევს, რომ შეთავაზებული ვალდებულებები, საწყისად (*prima facie*) პასუხობს გამოვლენილ კონკურენციის სამართლებრივ პრობლემებს.

კომისიამ ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში უნდა გამოაქვეყნოს შესაბამისი შეტყობინება („ბაზრის ტესტის შეტყობინება“), რომელიც შეიცავს საქმის მოკლე აღწერას და ვალდებულებების ძირითად შინაარსს, კომერციული საიდუმლოების დაცვის გათვალისწინებით.⁶¹

ასევე, კომისია კონკურენციის გენერალური დირექტორატის ვებგვერდზე აქვეყნებს ვალდებულებების სრულ ტექსტს ყველა შესაბამის ენაზე. პროცესის გამჭვირვალობის მიზნით, კომისია აქვეყნებს პრესრელიზსაც, სადაც წარმოდგენილია საქმის ძირითადი საკითხები და შეთავაზებული ვალდებულებები.⁶²

თუ საქმის წარმოება ეფუძნება წარდგენილ საჩივარს, ამ ეტაპზე კომისია აცნობებს მომჩივანს ბაზრის ტესტის შესახებ და სთხოვს მოსაზრებების წარდგენას. ანალოგიურად, პროცესში დაშვებულ მესამე პირებსაც ეცნობებათ და ეძლევათ შესაძლებლობა წარმოადგინონ საკუთარი მოსაზრებები რეგულაციის (EC) №1/2003-ის 27(4) მუხლის შესაბამისად. კომისიას შეუძლია ბაზრის ტესტის დოკუმენტი გაუგზავნოს სხვა პოტენციურად დაინტერესებულ მხარეებსაც (მაგალითად, მომხმარებელთა ასოციაციებს).

⁶⁰ იქვე, 4.3. პუნქტი.

⁶¹ რეგულაცია (EC) №1/2003, მუხლი 28.

⁶² შეტყობინება, პუნქტი 129.

კომისიის დისკრეციით, შესაძლებელია გაიმართოს სამმხრივი შეხვედრებიც (triangular meetings) — მხარეების, მომჩივნის ან/და მესამე პირების მონაწილეობით.⁶³

ბაზრის ტესტზე მიღებული პასუხების შემდეგ ტარდება საქმის მიმდინარეობის შესახებ შეხვედრა (State of Play) მხარეებთან. კომისია მხარეებს აცნობებს მიღებული პასუხების შინაარსს — ზეპირად ან წერილობით. თუ ბაზრის ტესტის შედეგების (და სხვა ხელმისაწვდომი ინფორმაციის) საფუძველზე კომისია მიიჩნევს, რომ გამოვლენილი კონკურენციის სამართლებრივ პრობლემები ვერ იქნება აღმოფხვრილი შეთავაზებული ვალდებულებებით ან საჭიროა ვალდებულებების ტექსტის ცვლილება, ეს ეცნობება შესაბამის მხარეს.

თუ მხარე მზად არის აღნიშნული მოდიფიცირებებისათვის, უნდა წარადგინოს ვალდებულებების განახლებული ვერსია. თუ განახლებული ვერსია მნიშვნელოვნად ცვლის ვალდებულებების შინაარსს ან ფარგლებს, ჩატარდება ბაზრის ახალი ტესტი.⁶⁴

იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული შეფასებისთვის საჭიროა სრულმასშტაბიანი, სიღრმისეული შესწავლა/მოკვლევა, ვალდებულებების შესახებ გადაწყვეტილება არ მიიღება.⁶⁵

თუ ეკონომიკური აგენტი არ წარადგენს განახლებულ ვალდებულებებს მაშინ, როდესაც ეს აუცილებელია კომისიის შეფასების მიხედვით, კომისია შეიძლება დაბრუნდეს მე-7 მუხლით გათვალისწინებულ პროცედურაზე.⁶⁶

4. ვალდებულებების შესრულების მონიტორინგი და შეუსრულებლობის შედეგები

პირობითი ვალდებულებების ინსტიტუტის ეფექტიანობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული არა მხოლოდ მათი მიღების პროცესზე, არამედ მათი შესრულების სათანადო მონიტორინგსა და აღსრულებაზე. სწორედ ამ ეტაპზე იკვეთება ადმინისტრაციული ორგანოს როლი, კონტროლი გაუწიოს, თუ რამდენად უზრუნველყვეს მხარეებმა ვალდებულებების შესრულება და რამდენად იმოქმედა ამან კონკურენტული გარემოს აღდგენაზე.

ამასთან, ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, სამართლებრივი სისტემები ითვალისწინებენ შესაბამის რეაგირების მექანიზმებს, მათ შორის სანქციებსა და საქმის ხელახალი წარმოების შესაძლებლობას, რაც უზრუნველყოფს ინსტიტუტის სანდოობასა და ეფექტიანობას. შესაბამისად, მონიტორინგისა და აღსრულების მექანიზმები

⁶³ იქვე, პუნქტი 42.

⁶⁴ იქვე, პუნქტი 132-133.

⁶⁵ Autorité de la concurrence, op.cit., პარა. 16.

⁶⁶ შეტყობინება, 4.4 პუნქტი.

წარმოადგენს პირობითი ვალდებულებების სისტემის განუყოფელ და გადაწყვეტ კომპონენტს.

4.1. ვალდებულებების შესრულების მონიტორინგი

მიღებული ზომებისა და ვალდებულებების მონიტორინგი მნიშვნელოვანია, რათა უკეთ დადგინდეს მათი გავლენა ბაზრის ფუნქციონირებასა და მომხმარებელთა კეთილდღეობაზე.

ეს ასევე საშუალებას აძლევს კომისიას მიიღოს მნიშვნელოვანი გამოცდილება და გააუმჯობესოს მომავალში გამოყენებული ზომებისა და ვალდებულებების შემუშავება და განხორციელება.

მონიტორინგის ძირითადი მიზანია დადგინდეს:

- სწორად შესრულდა თუ არა დაკისრებული ზომები გადაწყვეტილების ადრესატების მიერ და
- მიაღწია თუ არა ამ ზომებმა კონკურენციაზე იმ ეფექტს, რაც გადაწყვეტილებით იყო გათვალისწინებული.

ამ ანალიზის საფუძველზე იგეგმება დასკვნების გამოტანა ზოგად პოლიტიკაზე და რეკომენდაციების შემუშავება აღსრულების პრაქტიკის გასაუმჯობესებლად.⁶⁷

კომისია, ხშირ შემთხვევაში, აწესებს დამატებით მოთხოვნებსაც, რომლებიც მიზნად ისახავს მათი შესრულების კონტროლს და შესაბამისობის უზრუნველყოფას.

ეს შეიძლება მოიცავდეს:

- ეკონომიკური აგენტის ვალდებულებას, პერიოდულად წარუდგინოს კომისიას ანგარიში, თუ როგორ ასრულებს დაკისრებულ ზომებს/ვალდებულებებს, ან
- მონიტორინგის რწმუნებულის (monitoring trustee) დანიშვნას.

მონიტორინგის რწმუნებული არის დამოუკიდებელი პირი ან კომპანია, რომელიც სპეციალურად ინიშნება იმისათვის, რომ დაეხმაროს კომისიას ვალდებულებების განხორციელების მიმდინარეობის კონტროლში და ამის შესახებ აცნობოს მას.

ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ შემთხვევაში, როდესაც ზომების განხორციელება დაკავშირებულია რთულ ტექნიკურ საკითხებთან, რომელთა კონტროლისთვის კომისიას შეიძლება არ ჰქონდეს საკმარისი რესურსი ან ექსპერტიზა.

⁶⁷ Global Forum on Competition, op. cit., პუნქტები 30-31.

აღსანიშნავია, რომ მონიტორინგის რწმუნებულის დანიშვნა კომისიისთვის საკმაოდ გავრცელებული პრაქტიკაა.⁶⁸

4.2. ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგები

აღსანიშნავია, რომ ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, კომისიას შეუძლია გამოიყენოს სხვადასხვა მექანიზმები, მათ შორის, ფულადი სანქცია.

კერძოდ, №1/2003 რეგულაციის 23(2)(c) მუხლი ასევე განსაზღვრავს, რომ კომისიას შეუძლია დააკისროს ჯარიმა იმ შემთხვევაში, თუ ეკონომიკური აგენტი/აგენტები განზრახ ან გაუფრთხილებლობით არ ასრულებს აღებულ პირობით ვალდებულებებს. ასეთ შემთხვევაში, თითოეული ეკონომიკური აგენტებისათვის დაკისრებული ჯარიმა არ უნდა აღემატებოდეს წინა ფინანსური წლის საერთო ბრუნვის 10 %-ს.

გარდა ამისა, ამავე რეგულაციის 24(1)(c) მუხლის მიხედვით, კომისიას შეუძლია დააწესოს პერიოდული ჯარიმები (periodic penalty payments), რათა აიძულოს ეკონომიკური აგენტი შეასრულოს ვალდებულებები.⁶⁹

პერიოდული ჯარიმების დაკისრება ორეტაპიანი პროცესია:

- პირველ ეტაპზე კომისია გაცემს გაფრთხილებას (24(1) მუხლი), სადაც განსაზღვრავს პერიოდული ჯარიმის ოდენობას. ეს ჯარიმა არ უნდა აღემატებოდეს საწარმოს წინა ფინანსური წლის საშუალო დღიური ბრუნვის 5%-ს თითოეულ ვადაგადაცილებულ დღეზე და აითვლება გადაწყვეტილებაში მითითებული თარიღიდან.

ასეთი გაფრთხილება შეიძლება იყოს ცალკე გადაწყვეტილება, თუმცა უმეტეს შემთხვევაში ის უკვე შედის აკრძალვის ან ვალდებულებების შესახებ გადაწყვეტილებაში.

- მეორე ეტაპზე, თუ ეკონომიკური აგენტი კვლავ არ ასრულებს ვალდებულებებს, კომისია იღებს გადაწყვეტილებას საბოლოო გადასახდელი თანხის დაკისრების შესახებ. ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ ეკონომიკურმა აგენტმა შეასრულა ის ვალდებულება, რომლის შესრულების უზრუნველსაყოფადაც დაწესებული იყო პერიოდული ჯარიმა, კომისიას შეუძლია განსაზღვროს პერიოდული ჯარიმის საბოლოო ოდენობა იმაზე ნაკლები თანხით, ვიდრე ეს გამომდინარეობდა თავდაპირველი გადაწყვეტილებიდან.⁷⁰

⁶⁸ იქვე, პუნქტი 24.

⁶⁹ იქვე, პუნქტი 4, პუნქტი 25.

⁷⁰ №1/2003 რეგულაციის 24(2) მუხლი.

ევროკავშირში, 2013 წელს, კომისიამ **Microsoft-ს**⁷¹ დააკისრა **561 მილიონი ევროს ჯარიმა ვალდებულების შეუსრულებლობის გამო**.⁷² კერძოდ, პირობა, რომელიც შეეხებოდა „browser choice screen“-ის დანერგვას Windows ოპერაციულ სისტემაში, რაც მომხმარებლებს აძლევდა ინფორმირებულ არჩევანს, კომისიამ სავალდებულოდ გამოაცხადა 2009 წელს 2014 წლამდე ვადით, თუმცა დაადგინა, რომ 2011 წლის მაისიდან 2012 წლის ივლისამდე პერიოდში Microsoft-მა არ უზრუნველყო მათი შესრულება, რის შედეგადაც დაახლოებით 15 მილიონმა მომხმარებელმა ევროკავშირში ვერ მიიღო არჩევანის შესაძლებლობა.⁷³

დღემდე, ეს გადაწყვეტილება რჩება **ერთადერთ შემთხვევად ევროკავშირის დონეზე, როდესაც ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო დაკისრებულია ჯარიმა**.

გარდა სანქციების მექანიზმისა, კომისიას ასევე შეუძლია, როგორც საკუთარი ინიციატივით, ისე მოთხოვნის საფუძველზე, კვლავ გახსნას საქმის წარმოება, თუ:

- მნიშვნელოვნად შეიცვალა გარემოებები, რომლებზეც ვალდებულებები იყო დაფუძნებული;
- შესაბამისმა ეკონომიკურმა აგენტებმა არ შეასრულეს ნაკისრი ვალდებულებები; ან
- გადაწყვეტილება დაფუძნებული იყო არასრულ, არასწორ ან შეცდომაში შემყვან ინფორმაციაზე, რომელიც მხარეებმა წარადგინეს.

ეს პირობები, რომლებიც განსაზღვრულია რეგულაციის №1/2003-ის 9(2) მუხლით, ასახულია ასევე ეროვნული ვალდებულებების რეჟიმებშიც.⁷⁴

5. პირობითი ვალდებულებების შესახებ გადაწყვეტილებების სასამართლო კონტროლი

ვალდებულებების შესახებ გადაწყვეტილებები შეიძლება გახდეს სასამართლო კონტროლის საგანი, განსაკუთრებით პროპორციულობისა და პროცედურული გარანტიების დაცვის კუთხით. მიუხედავად ამისა, პრაქტიკაში ასეთი კონტროლი შეზღუდულია, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს კომისიის ფართო დისკრეციას ამ ინსტრუმენტის გამოყენებისას.

⁷¹ European Commission, Cases AT.40721 – *Microsoft Teams* and AT.40873 – *Microsoft Teams II*, პირობითი ვალდებულებების შესახებ გადაწყვეტილება, მიღებული რეგულაცია (EC) №1/2003-ის მე-9 მუხლის საფუძველზე, 2025 წლის 12 სექტემბერი.

⁷² იხ. ევროკომისია, „კონკურენციის სამართალი: კომისიამ Microsoft-ს დააკისრა ჯარიმა ბრაუზერის არჩევანის შესახებ აღებული ვალდებულების შეუსრულებლობისთვის“, პრესრელიზი IP/13/196, 2013 წლის 6 მარტი, ხელმისაწვდომია: https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/ip_13_196 [06.04.2026].

⁷³ European Commission, AT.40721 & AT.40873 – *Microsoft Teams*, op. cit.

⁷⁴ იხ. GWB (Germany), პარა. 32b(2), დიდი ბრიტანეთის 1998 წლის კონკურენციის აქტის 31B მუხლი, იხ. ასევე, OFT, op. cit., გვ. 13; Autorité de la Concurrence, op. cit., გვ. 9, პარა. 46 და შემდეგნი.

ევროკომისიის პრაქტიკის კონტექსტში, თუ რამდენად შესაძლებელია ამ გზით სრულყოფილი სასამართლო კონტროლის გვერდის ავლა, განსაკუთრებით გამოიკვეთა უკვე ხსენებულ Alrosa-ს საქმეში.

საქმე ეხებოდა კომპანიებს **De Beers** და **Alrosa**, რომლებიც წარმოადგენდნენ მსოფლიოში უხეში ბრილიანტების წარმოებისა და მიწოდების პირველ და მეორე უმსხვილეს მოთამაშეებს. მათ შორის დაიდო შეთანხმება, რომელიც არეგულირებდა Alrosa-ს მიერ უხეში ბრილიანტების მიწოდებას De Beers-ისთვის.

ხუთწლიანი შეთანხმების ფარგლებში, Alrosa ვალდებული იყო თავისი პროდუქციის ის მოცულობა, რომელიც ექსპორტისთვის იყო განკუთვნილი დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (CIS) ფარგლებს გარეთ, მიეყიდა De Beers-ისთვის.

2002 წლის მარტში, Alrosa-მ და De Beers-მა აღნიშნული შეთანხმება აცნობეს კომისიას საბჭოს №17/62 პირველი რეგულაციის საფუძველზე „ხელშეკრულების 85-ე და 86-ე მუხლების განხორციელების შესახებ“. თუმცა, გამონაკლისის მინიჭების ნაცვლად,⁷⁵ კომისიამ მხარეებს პირველადი შეფასების დოკუმენტი (Statement of Objections), რომელშიც გამოხატა ეჭვები, როგორც TFEU-ის 101-ე მუხლის, ასევე — განსაკუთრებით De Beers-ის მიმართ — 102-ე მუხლის სავარაუდო დარღვევის კუთხით.

2004 წლის დეკემბერში, როდესაც ძალაში შევიდა რეგულაცია №1/2003, Alrosa-მ და De Beers-მა კომისიას წარუდგინეს ერთობლივი ვალდებულებები მე-9 მუხლის საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებდა Alrosa-ს მიერ De Beers-ისთვის მიწოდებული ბრილიანტების მოცულობის ეტაპობრივ შემცირებას. 2010 წლისთვის გაყიდვების მოცულობა უნდა შეზღუდულიყო 275 მილიონი აშშ დოლარის დონეზე.

ვალდებულებების ბაზრის ტესტირებამ (მუხლი 27(4)) აჩვენა, რომ პრობლემები კვლავ არსებობდა. ამის შემდეგ, კომისიამ მოითხოვა ახალი ვალდებულებები, რომლებიც უნდა დასრულებულიყო მხარეებს შორის სავაჭრო ურთიერთობის სრულად შეწყვეტით 2009 წლისთვის.

Alrosa არ დათანხმდა ამ მოთხოვნას, თუმცა De Beers-მა დამოუკიდებლად წარადგინა ვალდებულებები, რომლებიც შეესაბამებოდა კომისიის მოთხოვნებს. კომისიამ ეს ვალდებულებები სავალდებულოდ გამოაცხადა.

Alrosa-მ მიმართა სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით და ამტკიცებდა, რომ კომისიამ გადააჭარბა თავის უფლებამოსილებას, რადგან ფაქტობრივად დააწესა მხარეებს შორის სავაჭრო ურთიერთობის სრული შეწყვეტა და აკრძალა მათი

⁷⁵ იმ დროისთვის მოქმედი საბჭოს No 17 რეგულაციის სისტემის ფარგლებში ეკონომიკურ აგენტებს შეეძლოთ წარმოედგინათ შეთანხმებების შეტყობინება (notification) კომისიისთვის, რათა მიეღოთ ე.წ. ინდივიდუალური გამონაკლისები (მუხლი 85(3) — დღევანდელი 101(3) TFEU). აღნიშნული რეგულაცია გაუქმდა და შეიცვალა ევროკავშირის საბჭოს (EC) No 1/2003 რეგულაციით, რომელიც ძალაში შევიდა 2004 წლის 1 მაისს.

მომავალი კონტრაქტები განუსაზღვრელი ვადით, რაც სცდებოდა იმას, რაც აუცილებელი და მიზანშეწონილი იყო TFEU-ის 102-ე მუხლის საფუძველზე იდენტიფიცირებული პრობლემების გადასაჭრელად.

ამ საქმეში სასამართლოს წინაშე იდგა საკითხი - უნდა შეზღუდულიყო თუ არა მე-9 მუხლის ფარგლებში არსებული ფართო დისკრეცია იმავე პროპორციულობის სტანდარტით, რომელიც გამოიყენება მე-7 მუხლის (აკრძალვის) გადაწყვეტილებებზე.

პროპორციულობის გათვალისწინებით, რომელიც წარმოადგენს ევროკავშირის სამართლის ზოგად პრინციპს, სანქციები და ზომები უნდა იყოს:

- მიზანშეწონილი, და
- ნაკლებად დამამძიმებელი შესაძლო ალტერნატივებს შორის.

საერთო სასამართლომ კითხვას დადებითად უპასუხა და მიიჩნია, რომ კომისიას შეეძლო დაეკისრებინა მხოლოდ ის, რომელიც ყველაზე ნაკლებად მძიმე იყო და რომელიც პასუხობდა მის მიერ წინასწარ იდენტიფიცირებულ კონკურენციულ პრობლემებს. საქმის არსებით ნაწილთან დაკავშირებით, სასამართლომ დაადგინა, რომ პროპორციულობის პრინციპი — როგორც ევროკავშირის სამართლის ზოგადი პრინციპი — ვრცელდება ვალდებულებების შესახებ გადაწყვეტილებებზეც იმავე ფორმით, როგორც იგი გამოიყენება რეგულაციის №1/2003-ის 7(1) მუხლის საფუძველზე მიღებულ დარღვევის გადაწყვეტილებებზე. შესაბამისად, კომისია ვალდებული იყო ჩაეტარებინა სრულყოფილი პროპორციულობის ანალიზი მანამდე, სანამ ვალდებულებებს სავალდებულოდ გამოაცხადებდა მე-9 მუხლის საფუძველზე, ხოლო ასეთი შეფასება უნდა ყოფილიყო სასამართლო კონტროლის საგანი.⁷⁶

თუმცა, ევროპულმა სასამართლომ (Court of Justice) გააუქმა საერთო სასამართლოს გადაწყვეტილება და უარყო Alrosa-ს სარჩელი. მიუხედავად იმისა, რომ მან დაადასტურა Alrosa-ს პროცესუალური სტატუსი (standing), აღნიშნა, რომ ვალდებულებების შესახებ გადაწყვეტილებებსა და დარღვევის გადაწყვეტილებებს შორის არსებული განსხვავებების გამო, პროპორციულობის პრინციპის შინაარსიც განსხვავებულია თითოეულ კონტექსტში. №1/2003 რეგულაციის ის მე-9 მუხლის ფარგლებში, პროპორციულობის პრინციპის გამოყენება შემოიფარგლება იმით, რომ კომისიამ უნდა გადაამოწმოს, პასუხობს თუ არა შეთავაზებული ვალდებულებები მის მიერ გამოკვეთილ პრობლემებს და ხომ არ არსებობდა ნაკლებად დამამძიმებელი ალტერნატიული ვალდებულებები, რომლებიც ასევე შეძლებდნენ ამ პრობლემების ეფექტიანად გადაწყვეტას.⁷⁷ ამასთან, კომისია არ არის ვალდებული შეაფასოს, იქნებოდა თუ არა ეს ვალდებულებები პროპორციული იმ შემთხვევაში, თუ საქმე დასრულდებოდა დარღვევის გადაწყვეტილებით.⁷⁸ შესაბამისად,

⁷⁶ GC Alrosa, პარა. 92-111.

⁷⁷ ECJ Alrosa, §41.

⁷⁸ იქვე, §§ 47-48.

სასამართლო კონტროლი შემოიფარგლება მხოლოდ იმის შემოწმებით, არის თუ არა კომისიის შეფასება აშკარად მცდარი.⁷⁹

Alrosa-მ ვერ შეძლო დაემტკიცებინა, რომ De Beers-ის მიერ შეთავაზებული და კომისიის მიერ სავალდებულოდ ცნობილი ინდივიდუალური ვალდებულებები აშკარად სცდებოდა იმ ფარგლებს, რაც აუცილებელი იყო კომისიის წინასწარ შეფასებაში იდენტიფიცირებული პრობლემების გადასაჭრელად.⁸⁰

შედეგად, Alrosa-ს საქმეში ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკის მიხედვით, კომისიის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ მაშინ, თუ ის აშკარად მცდარია („manifest error“).⁸¹ მისი ამოცანაა მხოლოდ შეამოწმოს, ხომ არ დაუშვა კომისიამ აშკარა შეცდომა.

Alrosa-ს გადაწყვეტილების საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ ევროკავშირის დონეზე ვალდებულებების შესახებ გადაწყვეტილებების მიმართ არსებითი სასამართლო კონტროლი მნიშვნელოვნად შეზღუდულია.⁸²

ევროკავშირის პრაქტიკაში ვალდებულებების შესახებ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებული პრეცედენტების სიმცირე, მნიშვნელოვანწილად, განპირობებულია იმით, რომ საწარმოებს, რომლებიც თავად სთავაზობენ ვალდებულებებს, არ აქვთ სტიმული ასეთი გადაწყვეტილებების გასაჩივრებისთვის, ხოლო მესამე პირები, რომლებიც შეიძლება იყვნენ დაინტერესებულნი გასაჩივრებით, Alrosa-ს გადაწყვეტილების შემდეგ მნიშვნელოვან შეზღუდვებს აწყდებიან.⁸³

ამ ფონზე, მოლოდინი, რომ კომისია თვითშეზღუდვას გამოიჩინდა ვალდებულებების გამოყენებისას, არ დასტურდება არც მის პრაქტიკაში და არც ევროკომისის შეტყობინებაში (Best Practices Notice). შესაბამისად, ეფექტიანი სასამართლო კონტროლის უზრუნველყოფის ერთადერთ რეალურ გზად რჩება კერძო აღსრულების (private enforcement) გაძლიერება.⁸⁴

6. ევროკავშირის პრაქტიკა პირობითი ვალდებულებების გამოყენების შესახებ

როგორც უკვე აღინიშნა, პირობითი ვალდებულებების შესახებ გადაწყვეტილების გამოყენება ხორციელდება, როგორც ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 101-ე, ისე 102-ე მუხლებთან დაკავშირებულ საქმეებში, ამასთან ამ

⁷⁹ იქვე, §42.

⁸⁰ იქვე, §120.

⁸¹ იქვე, § 42.

⁸² იქვე, §48 .

⁸³ *Global Forum on Competition*, op. cit., გვ.16, ECJ Alrosa, §90.

⁸⁴ *Heike Schweitzer*, op. cit., გვ.19.

მექანიზმის გამოყენებისათვის მნიშვნელობა არ აქვს თუ კონკრეტულად რომელ ბაზარზე იკვეთება კონკურენციის სამართლებრივი პრობლემა, თუმცა, კომისიის პრაქტიკაზე დაკვირვებით, **ზოგიერთი ავტორი მიიჩნევს, რომ გარკვეული ტიპის ბაზრები განსაკუთრებული აქტუალობით სარგებლობს ამ კუთხით**, რადგან პირობითი ვალდებულების მექანიზმი ბაზრის სტრუქტურული და სუბსტანციური სპეციფიკიდან გამომდინარე უზრუნველყოფს კონკურენციული პრობლემების სწრაფ გადაწყვეტას. განსაკუთრებით ეს ეხება **სწრაფად განვითარებად ტექნოლოგიურ ბაზრებს**, სადაც პრობლემების დროულად არ მოგვარებამ შეიძლება შეაფერხოს ინოვაცია — მითუმეტეს მაშინ, როცა მცირე ახალი მოთამაშეები უპირისპირდებიან ძლიერ დომინანტ კომპანიებს.⁸⁵

გარდა ამისა, პრაქტიკაში **ენერგეტიკის სექტორი⁸⁶ განსაკუთრებით გამოირჩევა მე-9 მუხლის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებების რაოდენობით.**

თუმცა, კომისია არ არის ვალდებული რომელიმე სექტორში (ტექნოლოგია, ენერგეტიკა ან სხვა) უპირატესობა მიანიჭოს ვალდებულებების გადაწყვეტილებას მხოლოდ წინა პრაქტიკის („პრეცედენტული მნიშვნელობის“) გამო. კომისიამ თითოეულ საქმეში თავიდან უნდა შეაფასოს თავისი პრიორიტეტები და საჭიროების შემთხვევაში აირჩიოს განსხვავებული მიდგომა — მაშინაც კი, თუ საქმე მსგავსია ადრე განხილული საქმეების.

წინამდებარე გზამკვლევის მიზნებისათვის, ჩვენ განვიხილავთ პირობითი ვალდებულებების მექანიზმის გამოყენების პრაქტიკას მედია და სპორტული უფლებების რეალიზაციისა (6.1.) და ციფრულ ბაზრებზე (6.2.).

⁸⁵ იხ. Maurits Dolmans, Thomas Graf, David R. Little, „Microsoft’s browser choice commitments and public interoperability undertaking“, E.C.L.R., 2010, 31(7), გვ. 274.

იმვე ლოგიკით, ახალი და ჯერ კიდევ ჩამოყალიბებულ ტექნოლოგიურ ბაზრებზე, სადაც ბაზრის განსაზღვრა სადავოა და ბაზრის მონაწილეთა პოზიციები ჯერ არ არის საბოლოოდ დადგენილი, პოტენციური კონკურენციის საქმის არაფორმალურად დახურვა შეიძლება განსაკუთრებით ეფექტიანი იყოს, განსაკუთრებით — ფორმალური წარმოების დაწყებამდე. ეს, რა თქმა უნდა, მოითხოვს გარკვეული ხარისხის თანამშრომლობას მოკვლევის ქვეშ მყოფი ეკონომიკური აგენტებისაგან რომლებიც, დიდი ალბათობით, შესაბამის ახალ ბაზარზე პიონერები არიან, იხ. Piero Cavicchi, op. cit., გვ.9.

⁸⁶ ამ კუთხით, ვალდებულებების შესახებ გადაწყვეტილებების ეფექტიანობის მაგალითად შეიძლება დასახელდეს ენერგეტიკის სექტორში „სიმძლავრის დაგროვებისა“ (capacity hoarding) და „სტრატეგიული არასაკმარისი ინვესტირების“ პრაქტიკის მიმართ კომისიის რეაგირება, ამ საკითხზე იხ. European Commission, 2009 წლის 18 მარტის გადაწყვეტილება, საქმე COMP/39.402 – RWE Gas Foreclosure, 2009 წლის 3 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმე COMP/39.316 – Gaz de France, 2010 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილება შესახებ, საქმე COMP/39.315 – ENI, 2010 წლის 4 მაისის გადაწყვეტილება შესახებ, საქმე COMP/39.317 – E.ON Gas, 2013 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილება საქმე AT.39727 – CEZ, a.s., იხ. ასევე, Stones, R. (2019). Commitment Decisions in EU Competition Enforcement: Policy Effectiveness v. the Formal Rule of Law. Yearbook of European Law, 38, გვ. 361-399.

6.1. ვალდებულებების გამოყენება მედია და სპორტული უფლებების რეალიზაციის ბაზრებზე

2003 წლის 23 ივლისს, კომისიამ მიიღო თავისი პირველი გადაწყვეტილება UEFA ჩემპიონთა ლიგის კომერციული უფლებების ერთობლივი გაყიდვის შესახებ TFEU-ის 81-ე მუხლის საფუძველზე.⁸⁷ თუმცა, შემდგომ პრაქტიკაში, მედია უფლებების ცენტრალიზებული გაყიდვის მსგავსი საკითხები სულ უფრო ხშირად წყდებოდა ვალდებულებების შესახებ გადაწყვეტილებების მეშვეობით, რაც ასახავს კომისიის მიდგომის ევოლუციას უფრო მოქნილი და ეფექტიანი აღსრულების ინსტრუმენტებისკენ.

ამ გადაწყვეტილებებში, მედია უფლებების ცენტრალიზებული გაყიდვა საბოლოოდ დაშვებული იყო, თუმცა გარკვეული პირობების დაცვით. კერძოდ, მედია უფლებები უნდა მინიჭებულიყო ღია და გამჭვირვალე პროცედურის საფუძველზე; ისინი უნდა დაყოფილიყო რამდენიმე პაკეტად; ექსკლუზიური უფლებები უნდა ყოფილიყო დროით შეზღუდული და არ უნდა ყოფილიყო მათი ავტომატური განახლების მექანიზმი.

აღნიშნული მოდელი შემდგომში გავრცელდა ეროვნულ დონეზეც, როგორც მსგავსი საქმეების გადაწყვეტის სტანდარტული მიდგომა, უმეტესწილად სწორედ ვალდებულებების შესახებ გადაწყვეტილებების ფორმით.

მაგალითად, იტალიის კონკურენციის ორგანო (Autorità Garante della Concorrenza e del Mercato (AGCM)) ამ ინსტრუმენტს იყენებდა Mediaset-ის (იტალიური კერძო მედია კომპანია) მიერ იტალიური საფეხბურთო კლუბების მატჩების ტრანსლაციის ლიცენზირების პრაქტიკის ევროკომისიის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოსაყვანად.⁸⁸

ასევე, ავსტრიის კონკურენციის უწყებამ (Bundeswettbewerbsbehörde) სავალდებულოდ აქცია ვალდებულებები, რომლებიც შეთავაზებული იყო ავსტრიის საზოგადოებრივი მაუწყებლის/ORF-ისა და ავსტრიის სათხილამურო ასოციაციის მიერ და რომლებიც ეხებოდა სათხილამურო მსოფლიო თასის ავსტრიული ეტაპების ტრანსლაციის უფლებების გამჭვირვალე და არადისკრიმინაციულ განაწილებას, ასევე ORF-ისთვის მინიჭებული ექსკლუზიური უფლებების გაუქმებას.⁸⁹

⁸⁷ European Commission, გადაწყვეტილება 2003/778/EC, 23 ივლისი 2003, „EC ხელშეკრულების 81-ე მუხლისა და EEA შეთანხმების 53-ე მუხლის საფუძველზე წარმოების შესახებ“ (საქმე COMP/C.2-37.398 — UEFA Champions League-ის კომერციული უფლებების ერთობლივი გაყიდვა).

⁸⁸ იტალიის კონკურენციისა და ბაზრის დაცვის უწყება (Autorità Garante della Concorrenza e del Mercato), გადაწყვეტილება 28 ივნისი 2006, საქმე A362, n° 15632, იხ. Pablo Ibáñez Colomo, „The Italian Competition Authority closes proceedings for alleged breach of Art. 82 EC following commitments made by the undertaking on the audiovisual rights market (Mediaset / Diritti Calcistici II)“, *e-Competitions*, Commitment Decisions, 28 ივნისი 2006, Art. N° 12133.

⁸⁹ ავსტრიის კონკურენციის უწყების (Bundeswettbewerbsbehörde) ვალდებულებების შესახებ გადაწყვეტილება, 18 თებერვალი 2008, საქმე 26 Kt 42/06 – ORF/Österreichischer Skiverband; იხ. Stephan Polster, Philippe Kiehl, „The Austrian Competition Authority opens the market for broadcasting rights of skiing events (ORF-ÖSV / Broadcasting rights of skiing events)“, *e-Competitions*, თებერვალი 2008, Art. N° 15937.

ანალოგიურად, რუმინეთის კონკურენციის საბჭომ (Consiliul Concurentei România) მიიღო ვალდებულებები, რომლებიც შეთავაზებული იყო რუმინეთის ფეხბურთის ფედერაციისა და პროფესიული ლიგის მიერ მედია უფლებების ერთობლივი გაყიდვის შესახებ, რაც არსებითად იმეორებდა ევროკომისიის მიერ ჩამოყალიბებულ მოდელს.⁹⁰

უფრო გვიან, გერმანიის კონკურენციის უწყებამ (Bundeskartellamt) მიიღო ვალდებულებების შესახებ გადაწყვეტილება ბუნდესლიგის მედია უფლებების ერთობლივი გაყიდვის საკითხზე.⁹¹

ანალოგიურად, ინგლისის პრემიერ ლიგის საქმეში აღებული ვალდებულებების შესახებ გადაწყვეტილება, რომელიც ეხებოდა ფეხბურთის მაუწყებლობის უფლებების ერთობლივ გაყიდვას, ჩემპიონთა ლიგის მსგავს გადაწყვეტილებასთან შედარებით მოიცავდა დამატებით მოთხოვნას — არ უნდა დაშვებულიყო, რომ ერთი მყიდველი შეიძენდა ყველა პაკეტს.⁹²

6.2. ვალდებულებების გამოყენება ციფრულ ბაზრებზე

ონლაინ ბაზრებზე კონკურენციის სამართლებრივი პრობლემების მოგვარების მიზნით ევროკავშირის ქვეყნები და თავად, ევროკომისია აქტიურად იყენებენ პირობითი ვალდებულებების მექანიზმს. განსაკუთრებით აქტიურად ჩამოყალიბდა მიდგომა, რომლის მიხედვითაც, საუკეთესო ფასის პირობების (MFN) სახელშეკრულებო გამოყენებაზე რეაგირება ხორციელდება 1/2003 რეგულაციის მე-9 მუხლის საფუძველზე მიღებული ვალდებულებების აღების მეშვეობით, რაც შესაძლებელს ხდის შესაბამისი გამოსასწორებელი ზომების უზრუნველყოფას დარღვევის ფორმალური კონსტატაციის გარეშე.⁹³ მაგალითად, E-Books-ის საქმეში⁹⁴ კომისიამ გამოთქვა ეჭვები გამომცემლებსა და Apple-ს შორის დადებული სააგენტო ხელშეკრულებების მიმართ, რომლებიც შეიცავდა

⁹⁰ იხ. European Competition Network Brief, „The Romanian Competition Authority adopts guidelines on its commitments procedure and launches a market test of commitments regarding the joint selling of commercial rights for football broadcasting (Romanian Football Federation / Professional Football League)“, 5 იანვარი 2011, *e-Competitions*, Art. N° 35681.

⁹¹ გერმანიის კონკურენციის უწყების (Bundeskartellamt), გადაწყვეტილება 2012 წლის 12 იანვარი გადაწყვეტილება, საქმე B6-114/10, Bundesliga-სა და 2. Bundesliga-ს საფეხბურთო მატჩების მედია უფლებების ცენტრალიზებული მარკეტინგის შესახებ 2013/14 სეზონიდან.

⁹² იხ. UEFA Champions League-ის კომერციული უფლებების ერთობლივი გაყიდვა (COMP/C.2-37.398), *op. cit.*, European Commission, 2006 წლის 22 მარტის გადაწყვეტილება, „EC ხელშეკრულების 81-ე მუხლის საფუძველზე წარმოების შესახებ“ (საქმე COMP/38.173 — FA Premier League-ის მედია უფლებების ერთობლივი გაყიდვა).

⁹³ Stones, R. (2019). Commitment Decisions in EU Competition Enforcement: Policy Effectiveness v. the Formal Rule of Law. *Yearbook of European Law*, 38, გვ. 4-5, <https://academic.oup.com/yel/article/doi/10.1093/yel/yez011/5678124>

⁹⁴ European Commission, 2012 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილება, რეგულაცია (EC) No 1/2003-ის მე-9 მუხლის საფუძველზე, საქმე AT.39847 – E-books.

MFN დებულებებს და სავარაუდოდ, იწვევდა ელექტრონული წიგნების ფასების ხელოვნურ ზრდას (Article 101 TFEU).

მოცემულ შემთხვევაში, სავარაუდოდ დარღვევა მდგომარეობდა იმაში, რომ გამომცემლებმა ერთობლივად შეცვალეს ელექტრონული წიგნების გაყიდვის მოდელი — საბითუმო (wholesale) მოდელიდან სააგენტო (agency) მოდელზე⁹⁵ გადასვლით, MFN დებულებების გამოყენებით. კომისიას ჰქონდა ეჭვი, რომ აღნიშნული ქმედების მიზანი იყო საცალო ფასების გაზრდა იმ დონეზე, რომელიც აღემატებოდა მანამდე Amazon-ის მიერ შეთავაზებულ ფასებს, რადგან ეს კომპანია საბითუმო მოდელის გამოყენებით მომხმარებლებს სთავაზობდა მნიშვნელოვან ფასდაკლებებს.

საქმე დასრულდა ვალდებულებების შესახებ გადაწყვეტილების მიღებით (Article 9), რომლის ფარგლებში მხარეებმა იკისრეს შემდეგი ვალდებულებები. ვალდებულებების ფარგლებში Apple-ს დაეკისრა:

- არსებული სააგენტო ხელშეკრულებების შეწყვეტა გამომცემლებთან და ახალი ხელშეკრულებების დადების შესაძლებლობა კონკურენტული პირობებით;
- MFN დებულებების გამოყენებისა და აღსრულების შეწყვეტა როგორც ახალ, ისე მოქმედ შეთანხმებებში;
- გამომცემლების ინფორმირება აღნიშნული ცვლილებების შესახებ;
- კომისიისთვის რეგულარული ანგარიშგების წარდგენა ვალდებულებების შესრულების თაობაზე.

აღნიშნული ვალდებულებები მიზნად ისახავდა ელექტრონული წიგნების ბაზარზე კონკურენციის აღდგენას და ფასების კოორდინაციის რისკის აღმოფხვრას.

აღნიშნული საქმის საქმის ფაქტობრივი გარემოებები გარკვეულწილად აისახა Amazon-ის ვალდებულებების საქმეშიც,⁹⁶ სადაც უკვე თავად Amazon-ის მიერ გამომცემლებზე დაკისრებული MFN დებულებები შეფასდა როგორც დომინანტური მდგომარეობის შესაძლო ბოროტად გამოყენება TFEU-ის 102-ე მუხლის ფარგლებში. თუ E-Books-ის საქმეში MFN დებულებები განიხილებოდა როგორც გამომცემლებს შორის ფასების კოორდინაციის ინსტრუმენტი (Article 101 TFEU), Amazon-ის საქმეში იგივე ტიპის დებულებები უკვე შეფასდა დომინანტური კომპანიის მიერ კონკურენციის შეზღუდვის მექანიზმად (Article 102 TFEU).

⁹⁵ საბითუმო (wholesale) და სააგენტო (agency) ხელშეკრულებები ძირითადად განსხვავდება საცალო ფასების კონტროლისა და მარაგებთან დაკავშირებული რისკის განაწილების მიხედვით. საბითუმო ხელშეკრულების შემთხვევაში მომწოდებელი ყიდის საქონელს საცალო მოვაჭრეზე, რომელიც თავად განსაზღვრავს საცალო ფასებს, ხოლო სააგენტო ხელშეკრულების ფარგლებში საცალო ფასების განსაზღვრა გადაცემულია მომწოდებელზე და მოვაჭრე იღებს საკომისიოს თითოეული გაყიდვიდან.

⁹⁶ European Commission, 2017 წლის 4 მაისის გადაწყვეტილება რეგულაცია (EC) No 1/2003-ის მე-9 მუხლის საფუძველზე, საქმე AT.40153 – E-book MFNs and related matters (Amazon).

კერძოდ, Amazon-ის საქმეში, რომელიც ეხებოდა Amazon-სა და ელექტრონული წიგნების გამომცემლებს შორის დადებული ხელშეკრულებების პირობებს, ევროკომისიამ მიიღო ვალდებულებების შესახებ გადაწყვეტილება დარღვევის ფორმალურად დადგენის გარეშე. აღნიშნული გადაწყვეტილების ფარგლებში, Amazon-მა იკისრა ვალდებულება, რომ აღარ გამოიყენებდა (i) ისეთ MFN დებულებებს, რომლებიც ავალდებულებდა გამომცემლებს მისთვის საუკეთესო პირობების შეთავაზებას, და (ii) ისეთ პუნქტებს, რომლებიც ითვალისწინებდა კონკურენტებთან დადებული ხელშეკრულებების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას.⁹⁷

ანალოგიური მიდგომა გამოყენებულ იქნა ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების კონკურენციის ორგანოების პრაქტიკაშიც, მათ შორის Booking.com-ის სახელშეკრულებო პირობებთან დაკავშირებით, სადაც ასევე შეიზღუდა MFN დებულებების გამოყენება.

Amazon-ის საქმე ითვლება ერთ-ერთ ყველაზე დეტალურად დასაბუთებულ ვალდებულებების გადაწყვეტილებად, სადაც ფართოდ არის განხილული MFN დებულებების პოტენციური ანტიკონკურენტული ეფექტები. ამასთან, აღნიშნულ საქმეებში კომისიამ შეძლო თავისი მიზნების ეფექტიანად მიღწევა, მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობდა მკაფიო და პირდაპირი სამართლებრივი პრეცედენტები.

მსგავსად ფართო და ამბიციური ზომები განიხილებოდა ასევე Google Search (Shopping) საქმეში⁹⁸ ვალდებულებების მოლაპარაკებების ფარგლებში. საქმის დასაწყისიდანვე წარმოდგენილი ზიანის თეორია ეფუძნებოდა იმას, რომ Google საკუთარ ან მასთან დაკავშირებულ სავაჭრო სერვისის შედეგებს ანიჭებდა უპირატესობას ზოგად საძიებო შედეგებში კონკურენტ სერვისებთან შედარებით, კერძოდ, საკუთარ სერვისს ათავსებდა პრიორიტეტულად, მაშინ როდესაც კონკურენტი სერვერები ექვემდებარებოდნენ ალგორითმულ „დადაბლებას“ საძიებო შედეგებში.⁹⁹ ცხადია, ეს მიდგომა მიზნად ისახავდა ბაზრიდან შესაძლო კონკურენტების გამოდევნას Google-ის დომინანტური საძიებო პლატფორმის სასარგებლოდ.

⁹⁷ კონკურენციის პოლიტიკის მიმართულებით პასუხისმგებელმა ევროკომისარმა Margrethe Vestager-მა აღნიშნა, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება მიზნად ისახავდა გამომცემლებისა და კონკურენტებისათვის ინოვაციური სერვისების განვითარების ხელშეწყობას ელექტრონული წიგნების სფეროში, რაც გაზრდის არჩევანსა და კონკურენციას ევროპელი მომხმარებლების სასარგებლოდ; ამასთან, მისი თქმით, Amazon-ის მიერ გამომცემლებთან დადებულ ხელშეკრულებებში გამოყენებული გარკვეული დებულებები შესაძლოა აფერხებდა სხვა პლატფორმების შესაძლებლობას, ეფექტიანად გაეწიათ კონკურენცია და განევიტარებინათ ინოვაციები, რის გამოც აუცილებელია ევროპის ელექტრონული წიგნების ბაზარზე სამართლიანი კონკურენციის უზრუნველყოფა ევროპის ელექტრონული წიგნების ბაზარზე, რომლის მოცულობა 1 მილიარდ ევროზე მეტია, იხ. https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/es/ip_17_1223 [22.04.2026].

⁹⁸ European Commission, 2017 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილება, რეგულაცია (EC) No 1/2003-ის მე-7 მუხლის საფუძველზე, საქმე AT.39740 – Google Search (Shopping).

⁹⁹ ევროკომისია, „კომისია იკვლევს Google-ის მიერ კონკურენციის წესების სავარაუდო დარღვევის ფაქტებს“, პრესრელიზი IP/10/1624, 30 ნოემბერი 2010.

ამავე მიზანს ემსახურებოდა მრავალწლიანი მოლაპარაკებების შედეგად ჩამოყალიბებული და თანდათან გამკაცრებული ვალდებულებების პაკეტიც, რომლებიც მიმართული იყო აღნიშნული „პრეფერენციული“ ან „უპირატესი მოპყრობის“ აღმოსაფხვრელად, მათ შორის, კონკურენტი სერვისებისთვის უფრო თვალსაჩინო პოზიციების უზრუნველყოფისა და მათი შედეგების ნეიტრალური პრეზენტაციის მექანიზმების შემუშავებით.¹⁰⁰

მრავალი წლის განმავლობაში კომისია და ბაზრის სხვა მონაწილეები ცდილობდნენ შეემუშავებინათ ისეთი მოდელი, რომელიც შეცვლიდა საძიებო სისტემაში საკუთარი და კონკურენტი სავაჭრო სერვისების წარმოდგენის წესს. ამ პროცესში Google-მ რამდენჯერმე წარადგინა ვალდებულებების სხვადასხვა პაკეტი, თუმცა მესამე პირების (market test) შეფასებამ აჩვენა, რომ შემოთავაზებული ზომები ვერ უზრუნველყოფდა კონკურენციის პრობლემების სრულად აღმოფხვრას.¹⁰¹

კომისარმა Joaquín Almunia-მ საბოლოო შეთავაზებები შეაფასა, როგორც „მასშტაბური“ დათმობები, რომლებიც მიზნად ისახავდა ონლაინ ძიებაში „თანაბარი კონკურენტული პირობების აღდგენას“ (to “restore a level playing-field”).¹⁰²

მიუხედავად იმისა, რომ საბოლოოდ შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული და საქმე დასრულდა დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების დადგენითა და €2.42 მილიარდი ჯარიმის დაკისრებით. თავად ის ფაქტი, რომ Google მზად იყო მიეღო ასეთი მასშტაბური და სტრუქტურულად მნიშვნელოვანი ვალდებულებები, კიდევ ერთხელ ადასტურებს, რამდენად ეფექტიანად იყენებს კომისია ვალდებულებების ინსტრუმენტს საკუთარი პოლიტიკის აღსრულებისა და ბაზრის ქცევის მოსაწესრიგებლად.

ამასთანავე, Google Search (Shopping) საქმეში თავდაპირველად მე-9 მუხლის გამოყენების მცდელობა ნათლად აჩვენებს კომისიის დისკრეციის მასშტაბს ისეთი კომერციული პრაქტიკების რეგულირებისას, რომლებიც არ არის პირდაპირ და დეტალურად განსაზღვრული უკვე ჩამოყალიბებულ სამართლებრივ აკრძალვებში, განსაკუთრებით ციფრულ ბაზრებზე.¹⁰³

¹⁰⁰ ამ საკითხზე იხ. Leyden and Dolmans, “The Google Commitments: Now with a Cherry on Top”, 5(5) JECLAP (2014), გვ. 253-255.

¹⁰¹ იხ. Stones, R. (2019), op. cit., გვ.5.

¹⁰² European Commission, განცხადება Google-ის საქმის მოკვლევის შესახებ, SPEECH/14/93, ევროპის კომისიის ვიცე-პრეზიდენტის (პასუხისმგებელი კონკურენციის პოლიტიკაზე) ხოაკინ ალმუნის განცხადება, 5 თებერვალი 2014, ხელმისაწვდომია: https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/SPEECH_14_93 [30.04.2026].

¹⁰³ ამ საკითხთან დაკავშირებით, იხ. Renato Nazzini, „Google and the (Ever-Stretching) Boundaries of Article 102 TFUE“, JECLAP, 6(5), 2015, გვ. 301–314, განსაკუთრებით 307–308; Pinar Akman, „The Theory of Abuse in Google Search: A Positive and Normative Assessment under EU Competition Law“, *Journal of Law, Technology & Policy*, 2017, გვ. 301–374.

თავი II. პირობითი ვალდებულებების შესახებ გადაწყვეტილებების რეგულირება და აღსრულება ქართულ კონკურენციის სამართალში

საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობაში ზემოთ განხილული 2020 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველ პუნქტს დაემატა „ზ¹“ პუნქტი, რომლის საფუძველზეც საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს მიენიჭა უფლებამოსილება, თანხმობა განაცხადოს ან უარი თქვას ეკონომიკური აგენტის მიერ შეთავაზებული პირობითი ვალდებულებების მიღებაზე, რომლებიც მიმართულია სავარაუდო კანონდარღვევის აღმოფხვრისკენ. აღნიშნული ცვლილება წარმოადგენს მნიშვნელოვანი ნაბიჯს ქართული კონკურენციის სამართლის ინსტრუმენტარიუმის განვითარებისა და მისი ევროკავშირის სამართალთან დაახლოების მიმართულებით.

როგორც ევროკავშირის სამართალში, ასევე ქართულ რეგულირებაშიც, “Commitment decision”-ის შემთხვევაში, არ ხდება იმის შეფასება, სახეზე არის თუ არა კანონის დარღვევა, არამედ, მიიღება გადაწყვეტილება კანონის სავარაუდო ნორმის შეფასების გარეშე, რადგან მოქმედებს პრეზუმცია, რომ აღნიშნული ვალდებულებების შესრულების შედეგად, მაღალი ალბათობით, აღარ ექნება ადგილი კონკურენციის სამართლის დარღვევას და ქმედების ეფექტის შემდგომი კვლევა და ანალიზი აღარ ხორციელდება.

ამგვარად, პირობითი ვალდებულებების ინსტიტუტი ქართულ სამართალში ფუნქციონირებს როგორც პრევენციული და ალტერნატიული აღსრულების მექანიზმი, რომელიც აერთიანებს ადმინისტრაციული ეფექტიანობისა და ეკონომიკური აგენტების თვითრეგულირების ელემენტებს. იგი, ერთი მხრივ, საშუალებას აძლევს სააგენტოს, სწრაფად და მოქნილად იმოქმედოს კონკურენციულ პრობლემებზე, ხოლო, მეორე მხრივ ეკონომიკურ აგენტებს აძლევს შესაძლებლობას — თავიდან აიცილონ ხანგრძლივი და რესურსმხარჯველი მოკვლევის პროცესი.

მიუხედავად იმისა, რომ კანონი არ აკონკრეტებს. თუ რომელიც მუხლების სავარაუდო დარღვევის აღმოსაფხვრელად შესაძლოა გამოყენებულ იქნას აღნიშნული მექანიზმი,¹⁰⁴ მიუთითებს, რომ პირობითი ვალდებულებების შემთავაზებელი მხარე უნდა იყოს ეკონომიკური აგენტი¹⁰⁵, ამასთან, ცხადია, დგინდება, რომ ამ საკანონმდებლო მექანიზმის გამოყენების შესაძლებლობა იქმნება კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმებების (კანონის მე-7 მუხლი), დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების (კანონის მე-6 მუხლი) და არაკეთილსინდისიერი კონკურენციის (კანონის 11³ მუხლი) ქმედებებთან მიმართებით,¹⁰⁶ ხოლო მისი აღსრულების პრევენციები და ტენდენციები, თავის მხრივ, სააგენტოს პრაქტიკის განვითარებაზეა დამოკიდებული.

¹⁰⁴ კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის ზ¹ ქვეპუნქტი ზოგადად მიუთითებს - „...კანონის სავარაუდო დარღვევის აღმოფხვრის მიზნით“.

¹⁰⁵ იქვე.

¹⁰⁶ პირობითი ვალდებულებების მექანიზმთან ახლოს მდგომი სამართლებრივი ინსტიტუტი სტრუქტურული და ქცევითი ხასიათის ღონისძიებების სახით „კონკურენციის შესახებ“ კანონში გათვალისწინებულია

ამდენად, აღნიშნული ინსტიტუტის ეფექტიანი ფუნქციონირების შეფასების მიზნით, მნიშვნელოვანია როგორც მისი საკანონმდებლო რეგულირების დეტალური ანალიზი, ისე სააგენტოს პრაქტიკის განხილვა. შესაბამისად, ქვემოთ განხილულია პირობითი ვალდებულებების მიღების პროცედურა ადმინისტრაციული წარმოების სხვადასხვა ეტაპზე, ხოლო შემდგომ — მათი გამოყენების პრაქტიკა სააგენტოს მიერ.

1. პირობითი ვალდებულებების საკანონმდებლო რეგულირება

საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობა პირობითი ვალდებულებების გამოყენებას ითვალისწინებს ადმინისტრაციული წარმოების ორ ძირითად ეტაპზე: საჩივრის მატერიალური დასაშვებობის შეფასების ეტაპზე და საქმის მოკვლევის ეტაპზე.

შესაბამისად, მისი საკანონმდებლო რეგულირების ანალიზი მოითხოვს თითოეული ეტაპის სპეციფიკისა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების მექანიზმების განცალკევებულ განხილვას, როგორც საჩივრის დასაშვებობის შეფასების ეტაპზე, ისე, საქმის მოკვლევის ეტაპზე. ძირითად მარეგულირებელ საკანონმდებლო აქტს წარმოადგენს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები: **საჩივრის დასაშვებობის ეტაპზე** - კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის №38 ბრძანებით დამტკიცებული „საჩივრის ფორმის, მისი წარდგენის წესის და საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებული პროცედურისა და ვადების“ (შემდგომში - „დასაშვებობის პროცედურა“),¹⁰⁷ ხოლო **მოკვლევის წარმოების ეტაპზე** - კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 28 ოქტომბრის №40 ბრძანებით დამტკიცებული - „საქმის მოკვლევის წესი და პროცედურა“ (შემდგომში - „საქმის მოკვლევის წესი“).¹⁰⁸

1.1. პირობითი ვალდებულებების შესახებ გადაწყვეტილების მიღება საჩივრის დასაშვებობის ეტაპზე

საჩივრის მატერიალური დასაშვებობის შეფასების ეტაპი წარმოადგენს კონკურენციის სამართლის ადმინისტრაციული წარმოების საწყის საფეხურს, რომლის ფარგლებშიც სააგენტო ადგენს, არსებობს თუ არა საკმარისი საფუძველი გონივრული ეჭვის სახით, საქმის მოკვლევის დასაწყებად. სწორედ ამ ეტაპზე იკვეთება პირობითი ვალდებულებების ინსტიტუტის განსაკუთრებული მნიშვნელობა, როგორც პრევენციული მექანიზმისა,

კონცენტრაციების კონტროლის პროცესში, იხ. კანონის მე-11 მუხლი, ასევე, „კონცენტრაციების კონტროლის პროცესში სტრუქტურული და ქვევითი ხასიათის ღონისძიებების შესახებ“ გზამკვლევი დოკუმენტი ხელმისაწვდომია: https://gcc.gov.ge/uploads_script/legislation/tmp/phpw3zUCs.pdf [30.04.2026].

¹⁰⁷ ხელმისაწვდომია: https://gcc.gov.ge/uploads_script/legislation/tmp/php2H9MtD.pdf [24.04.2026].

¹⁰⁸ ხელმისაწვდომია: https://gcc.gov.ge/uploads_script/legislation/tmp/phpsPFqwQ.pdf [24.04.2026].

რომელიც შესაძლებელს ხდის კონკურენციის შესაძლო შეზღუდვის რისკის აღმოფხვრას მოკვლევის სრულმასშტაბიანი პროცესის დაწყებამდე.

პირობითი ვალდებულებების შეთავაზების შესაძლებლობა ამ ეტაპზე ემსახურება, როგორც ადმინისტრაციული რესურსების ოპტიმიზაციას, ისე ეკონომიკური აგენტებისათვის შესაძლებლობის მიცემას, საკუთარი ინიციატივით აღმოფხვრან შესაძლო ანტიკონკურენტული ქცევის შედეგები. შედეგად, სააგენტოს ეძლევა საშუალება, თავიდან აიცილოს ხანგრძლივი და კომპლექსური მოკვლევა იმ შემთხვევებში, როდესაც შეთავაზებული ვალდებულებები უზრუნველყოფს სავარაუდო დარღვევის რისკის ეფექტიან ნეიტრალიზაციას.

ამასთანავე, აღნიშნული მექანიზმის გამოყენება მოითხოვს პროცესუალური გარანტიების დაცვას, მათ შორის – დაინტერესებული პირების ინფორმირებას, მოსაზრებების წარმოდგენის შესაძლებლობის უზრუნველყოფას და მიღებული გადაწყვეტილებების სათანადო დასაბუთებას. ამდენად, საჩივრის დასაშვებობის ეტაპზე პირობითი ვალდებულებების ინსტიტუტი აერთიანებს პრევენციულ ფუნქციას, პროცესის ეფექტიანობასა და გამჭვირვალობის მოთხოვნებს, რაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს კონკურენციის სამართლის პრაქტიკაში.

1.1.1. ვალდებულებების შეთავაზება და განხილვა

საჩივრის მატერიალური დასაშვებობის საკითხის შესწავლის ეტაპზე მოპასუხე ეკონომიკური აგენტი უფლებამოსილია სააგენტოს შეთავაზოს პირობითი ვალდებულებები. პირობითი ვალდებულებები წარმოადგენს მოპასუხე მხარის მიერ შეთავაზებულ კონკრეტულ ქმედებებს, რომლებიც მიმართულია კანონის სავარაუდო დარღვევის აღმოფხვრისკენ და მიზნად ისახავს კონკურენციის შესაძლო შეზღუდვის რისკის პრევენციას ჯერ კიდევ საქმის მოკვლევის დაწყებამდე.¹⁰⁹

პირობითი ვალდებულებების განსახილველად მიღების შემთხვევაში სააგენტო უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობას: იგი ვალდებულია 5 სამუშაო დღის განმავლობაში აცნობოს ამის შესახებ მომჩივანს და განუსაზღვროს მას გონივრული ვადა მოსაზრებებისა და შესაბამისი ინფორმაციის წარმოდგენისთვის.¹¹⁰

ამავე დროს, პირობითი ვალდებულებების განსახილველად მიღება წარმოადგენს საჩივრის დასაშვებობის განხილვისთვის დადგენილი ვადის დინების შეჩერების საფუძველს (ანუ ამ ეტაპზე საჩივრის განხილვის კანონით დადგენილი „ვადა ჩერდება“, სანამ შესაბამისი მოსაზრებები/ინფორმაცია შეგროვდება და შეფასდება).¹¹¹

¹⁰⁹ კანონის 23.5 მუხლი, დასაშვებობის პროცედურის 8.1 მუხლი.

¹¹⁰ დასაშვებობის პროცედურის 8.2 მუხლი.

¹¹¹ იქვე.

მომჩივანს აქვს უფლება, სააგენტოს მიერ განსაზღვრულ ვადაში წარმოადგინოს მოსაზრებები პირობით ვალდებულებებზე, ფაქტობრივი ინფორმაცია ან/და მასალები, რომლებიც შეიძლება მნიშვნელოვნად იყოს დაკავშირებული ვალდებულებების რეალურ ეფექტიანობასთან. მომჩივნის მიერ სააგენტოსთვის ინფორმაციის წარდგენა განსაზღვრულ ვადაში, შესაბამისად, იწვევს შეჩერებული ვადის დინების განახლებას.

პირობითი ვალდებულებების შეფასების პროცესში, თუ ეს საჭიროა ან/და ხელს შეუწყობს პირობითი ვალდებულებების განხილვისა და გადაწყვეტილების მისაღებად მნიშვნელოვანი გარემოებების დადგენას (მაგალითად, როგორ შესრულდება ვალდებულება პრაქტიკაში, რა ვადაში, რა რესურსით, რამდენად კონტროლირებადი შეიძლება იყო მათი შესრულება, რეალურად რამდენად აღმოფხვრის კონკურენციის შეზღუდვის რისკს და ა.შ.), სააგენტო უფლებამოსილია მოპასუხე ეკონომიკურ აგენტს მოსთხოვოს დამატებითი ინფორმაცია ან/და დამატებითი მტკიცებულებები.

იმ შემთხვევაში, თუ ეკონომიკის რეგულირებადი სფეროს მარეგულირებელ ორგანო საკითხის განხილვაში/მოკვლევის პროცესში იღებს მონაწილეობას, სააგენტო ვალდებულია პირობითი ვალდებულებების მიღებიდან 5 სამუშაო დღეში, ამის შესახებ აცნობოს შესაბამის მარეგულირებელ ორგანოს და განუსაზღვროს მას გონივრული ვადა მოსაზრებების წარსადგენად.¹¹²

1.1.2. ვალდებულებების შესახებ გადაწყვეტილების მიღება და მისი შესრულების მონიტორინგი

სააგენტო, შეგროვებული ინფორმაციისა და წარმოდგენილი პოზიციების გათვალისწინებით, იღებს გადაწყვეტილებას დაეთანხმოს პირობით ვალდებულებებს, ან უარი თქვას მათ მიღებაზე.

ამასთან, გადაწყვეტილების მიღებისას სააგენტო არ არის შეზღუდული არც მომჩივნის და არც მარეგულირებელი ორგანოს პოზიციით,¹¹³ თუმცა მისი გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული (ანუ განმარტებული უნდა იყოს, რატომ მიიჩნია ვალდებულებები საკმარისად/არასაკმარისად).

გადაწყვეტილების მიღებისას სააგენტო აფასებს, გამოირიცხება თუ არა პირობითი ვალდებულებების შესრულების შედეგად კანონის დარღვევის შესახებ გონივრული ეჭვი. თუ სააგენტო მივა დასკვნამდე, რომ შეთავაზებული ვალდებულებები საკმარისია სავარაუდო დარღვევის რისკის აღმოსაფხვრელად, იგი თანხმობას აცხადებს მათ მიღებაზე და უარს ამბობს საჩივრის საფუძველზე საქმის მოკვლევის დაწყებაზე.¹¹⁴ ამ შემთხვევაში მოპასუხე მხარეს განესაზღვრება ვადა აღებული ვალდებულებების შესასრულებლად.

¹¹² იქვე, 8.5 მუხლი.

¹¹³ იქვე, 8.6 მუხლი.

¹¹⁴ იქვე, 8.7 მუხლი.

შედეგად, სააგენტო პირობითი ვალდებულების პრევენციული მექანიზმით, ხურავს საჩივრის დასაშვებობის ეტაპს, ისე, რომ არ იწყებს მოკვლევას და არ მიდის დარღვევის დადგენა/უარყოფის შეფასებამდე.

ამის საპირისპიროდ, თუ სააგენტო მიზანშეწონილად არ მიიჩნევს პირობითი ვალდებულებების მიღებას, იგი აგრძელებს საჩივრის მატერიალური დასაშვებობის განხილვას საერთო წესით.

როგორც უკვე აღინიშნა, სააგენტოს მიერ პირობითი ვალდებულებების მიღება და საქმის დახურვა არ ნიშნავს დარღვევის დადგენას. ეს წარმოადგენს პრევენციულ მექანიზმს, რომელიც მიზნად ისახავს კონკურენციის შესაძლო შეზღუდვის თავიდან აცილებას საქმის მოკვლევასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების სრულმასშტაბიანი დაწყების გარეშე.

1.2. პირობითი ვალდებულებების შესახებ გადაწყვეტილების მიღება საქმის მოკვლევის ეტაპზე

სააგენტოს მიერ საქმის მოკვლევის დაწყება უკვე მიუთითებს კონკურენციის კანონმდებლობის შესაძლო დარღვევის არსებობის შესახებ გონივრულ ეჭვზე, რაც მნიშვნელოვნად ცვლის პროცესის დინამიკასა და მხარეთა პროცესუალურ მდგომარეობას. განსხვავებით საჩივრის დასაშვებობის ეტაპისგან, ამ ეტაპზე სააგენტო უკვე ახორციელებს ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების სიღრმისეულ შეფასებას, ხოლო პირობითი ვალდებულებების ინსტრუმენტი იძენს უფრო მკვეთრად გამოხატულ პრევენციულ და კორექტირებად ფუნქციას.

ამ კუთხით, პირობითი ვალდებულებების შეთავაზება და მათი შეფასება წარმოადგენს ალტერნატიულ მექანიზმს, რომელიც სააგენტოს აძლევს შესაძლებლობას, კონკურენციის შესაძლო შეზღუდვის რისკი აღმოფხვრას მოკვლევის გაგრძელებისა და დარღვევის ფაქტის საბოლოო დადგენის გარეშე, იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილი ვალდებულებები უზრუნველყოფს შესაბამის ბაზარზე კონკურენტული გარემოს ეფექტიან ადგენას.

ამასთანავე, აღნიშნული პროცესი ხასიათდება სააგენტოს ფართო დისკრეციული უფლებამოსილებით, რაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს შეფასების კრიტერიუმების გამჭვირვალობას, დაინტერესებული პირების მონაწილეობას და მიღებული გადაწყვეტილებების დასაბუთებულობას. სწორედ ამიტომ, საქმის მოკვლევის ეტაპზე პირობითი ვალდებულებების მექანიზმი წარმოადგენს ბალანსს ადმინისტრაციულ ეფექტიანობასა და პროცედურული გარანტიების დაცვას შორის.

1.2.1. პირობითი ვალდებულების შეთავაზების უფლება და განხილვა

საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობა პირობითი ვალდებულების აღების შესაძლებლობას მოპასუხე მხარეს აძლევს არამხოლოდ საჩივრის დასაშვებობის ეტაპზე, არამედ მოკვლევის დაწყების შემდეგ, **საქმის წარმოების პროცესში გადაწყვეტილების პროექტის მხარეებთან გადაგზავნამდე**. ამ შემთხვევაშიც, გადაწყვეტილებას აფუძნებს პრევენციულ და კორექტირებად მიდგომაზე, რომლის მიზანია კონკურენციის შესაძლო შეზღუდვის რისკის დროული და ეფექტიანი აღმოფხვრა.

კანონის შესაბამისად, სააგენტოს საბოლოო გადაწყვეტილების პროექტის მიღებამდე მოპასუხე ეკონომიკური აგენტი უფლებამოსილია სააგენტოს შეთავაზოს კანონის სავარაუდო დარღვევის აღმოფხვრის მიზნით განსახორციელებელი კონკრეტული ქმედების თაობაზე პირობითი ვალდებულების მიღება.¹¹⁵ აღნიშნული შესაძლებლობა უზრუნველყოფს იმას, რომ ეკონომიკურმა აგენტმა საკუთარი ინიციატივით აიღოს კონკრეტული ქმედების განხორციელების/განხორციელებისაგან თავის შეკავების ვალდებულება, რომელთა შესრულებაც აღმოფხვრის კანონის სავარაუდო დარღვევის რისკს, რაც მოკვლევის დაწყებას დაედო საფუძვლად.

პირობითი ვალდებულებები უნდა იყოს წერილობითი ფორმით წარმოდგენილი და უნდა შეიცავდეს მკაფიოდ განსაზღვრულ ქმედებებს, მათი განხორციელების ვადებს და იმ მტკიცებულებებს, რომლებიც ადასტურებს ვალდებულებების ეფექტიანობასა და რეალურ შესრულებადობას.

სააგენტო ვალდებულია, პირობითი ვალდებულებების განსახილველად მიღებიდან 5 სამუშაო დღეში აცნობოს მომჩივანს აღნიშნულის შესახებ და განუსაზღვროს გონივრული ვადა მოსაზრებებისა და შესაბამისი ინფორმაციის წარმოდგენისათვის. ამასთანავე, პროცესის გამჭვირვალობისა და ვალდებულებების ყოველმხრივი შესწავლის უზრუნველსაყოფად, სააგენტო საკუთარ ოფიციალურ ვებგვერდზე აქვეყნებს პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაციას ანოტაციის ფორმით, კონფიდენციალური მონაცემების გარეშე. გამოქვეყნებული ინფორმაცია უნდა შეიცავდეს მიმდინარე მოკვლევის საგნის აღწერას, მხარეებს, სავარაუდო შესაბამის ბაზარს და დაინტერესებული პირებისათვის მოსაზრებების წარმოდგენის ვადას, რომელიც არ შეიძლება იყოს 10 კალენდარულ დღეზე ნაკლები. **შესაბამისი მოსაზრებების/პასუხის მიღებამდე საქმის მოკვლევის ვადის დინების ჩერდება.**¹¹⁶

იმ შემთხვევაში, თუ ეკონომიკის რეგულირებადი სფეროს მარეგულირებელ ორგანო საკითხის განხილვაში/მოკვლევის პროცესში მონაწილეობას იღებს, მას უფლება აქვს გაეცნოს და შესაბამისი პოზიცია დააფიქსიროს მოპასუხე ეკონომიკური აგენტის მიერ აღებულ პირობით ვალდებულებებზე;¹¹⁷ შესაბამისად, სააგენტო ვალდებულია, პირობითი

¹¹⁵ კანონის 25.13 მუხლი, დასაშვებობის პროცედურის 26.1 მუხლი.

¹¹⁶ საქმის მოკვლევის წესის 26.2¹ და 26.2 მუხლები

¹¹⁷ იქვე, 21.2.გ მუხლი.

ვალდებულებების მიღებიდან 5 სამუშაო დღეში აცნობოს შესაბამის მარეგულირებელ ორგანოს (მიწოდოს საქმის მასალები კონფიდენციალურობის დაცვით) და განუსაზღვროს მას გონივრული ვადა პოზიციის წარმოდგენისათვის.

აღსანიშნავია, რომ სააგენტო მოკვლევის მიმდინარეობის ეტაპზე უფლებამოსილია მიიღოს და განიხილოს მომჩივნისა და მარეგულირებელი ორგანოს მოსაზრება/პოზიცია, თუმცა არ გააჩნია მბოჭავი ეფექტი პირობითი ვალდებულებების მიღების/უარის თქმის გადაწყვეტილების მიღების პროცესში და სარგებლობს სრული დისკრეციული უფლებამოსილებით.¹¹⁸

ვალდებულებების შეფასების პროცესში სააგენტო უფლებამოსილია მოპასუხისაგან მოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია ან მტკიცებულებები, რომლებიც აუცილებელია ვალდებულებების ეფექტიანობის, პროპორციულობისა და შესრულებადობის შესაფასებლად. *ასეთი მოთხოვნის შემთხვევაშიც, შესაბამისი პასუხის მიღებამდე ჩერდება მოკვლევის ვადის დინება.*¹¹⁹

შემოთავაზებული პირობითი ვალდებულებების შეფასებისას სააგენტო ამოწმებს, რამდენად უზრუნველყოფს მათი შესრულება სავარაუდო დარღვევის რისკის სრულ და ეფექტიან აღმოფხვრას. შეფასება ეფუძნება შემდეგ კრიტერიუმებს: ვალდებულებების სიცხადე და კონკრეტულობა, განხორციელების რეალურობა, ბაზარზე კონკურენტული პირობების აღდგენის შესაძლებლობა, ვალდებულებების პროპორციულობა გამოვლენილ პრობლემასთან მიმართებით და მათი შესრულების კონტროლის ეფექტიანობა.

ვინაიდან, მოკვლევის დაწყების საფუძველი თავისთავად არის გონივრული ექვი კონკურენციის კანონმდებლობის სავარაუდო დარღვევის არსებობის თაობაზე, იმ შემთხვევაში, თუ სააგენტო მიიჩნევს, რომ ვალდებულებების შესრულება სრულად აღმოფხვრის კანონის სავარაუდო დარღვევის რისკს, იგი წყვეტს მოკვლევის პროცესს და იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას დარღვევის ფაქტის შეფასების გარეშე. ამასთანავე, სააგენტო განსაზღვრავს ვადას ვალდებულებების შესრულებისათვის.¹²⁰ ამასთან, რეგულირებადი სფეროს შემთხვევაში ინფორმაცია დამატებით ეგზავნება შესაბამის მარეგულირებელ ორგანოს.¹²¹

ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, საქმის სპეციფიკიდან, სირთულიდან, კონკურენციის სამართლებრივი პრობლემის, შესაბამის ბაზარზე არსებული სიტუაციის, პირობითი ვალდებულებებისა და თუ საბოლოო გადაწყვეტილების მიღების ეფექტების შეფასებიდან გამომდინარე, ასევე მოკვლევის პროცესის მიმდინარეობისა და ვადის გათვალისწინებით, დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში თავად წყვეტს რამდენად გამართლებულია მოკვლევის შეწყვეტა პირობითი ვალდებულებების საფუძველზე.

¹¹⁸ იქვე, 26.5 მუხლი.

¹¹⁹ იქვე, 26.4 მუხლი.

¹²⁰ კანონის 25.14 მუხლი, საქმის მოკვლევის წესის 26.6 მუხლი.

¹²¹ საქმის მოკვლევის წესის 26.8 მუხლი.

შედეგად, მიიღოს თუ არა მხარის მიერ შეთავაზებული ვალდებულება თუ გააგრძელოს საქმის მოკვლევა და მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება.

იმ შემთხვევაში, თუ სააგენტო დაეთანხმება მოპასუხე მხარის მიერ შემოთავაზებულ პირობით ვალდებულებებს, იგი სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანების ფორმით ამტკიცებს მათ და აღნიშნულის საფუძველზე წყვეტს საქმის მოკვლევას კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევის არსებობის დადასტურების ან უარყოფის შეფასების გარეშე. ასეთი ბრძანება წარმოადგენს დამოუკიდებელ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და, შესაბამისად, ექვემდებარება გასაჩივრებას კანონით დადგენილი წესით.

ხოლო იმ შემთხვევაში, თუ სააგენტო თუ სააგენტო მიზანშეწონილად არ მიიჩნევს პირობითი ვალდებულებების მიღებას, იგი აღნიშნულის შესახებ აცნობებს მოპასუხე ეკონომიკურ აგენტს და აგრძელებს საქმის მოკვლევას საერთო წესით.

1.2.2. პირობითი ვალდებულების შესრულების მონიტორინგი და შეუსრულებლობის შედეგები

სააგენტოს მიერ პირობითი ვალდებულებების დამტკიცების შემთხვევაში, კონკურენციის კანონმდებლობა ადგენს სააგენტოს მხრიდან ვალდებულების შესრულების მონიტორინგისა და მოპასუხე ეკონომიკური აგენტის ანგარიშვალდებულების წესებს, ხოლო შეუსრულებლობის შემთხვევაში, განსაზღვრავს მათი მის სამართლებრივ შედეგებს და ითვალისწინებს შესაბამის სანქციებს.

პირობითი ვალდებულებების დამტკიცების შემდეგ სააგენტო უზრუნველყოფს მათი შესრულების ზედამხედველობას და უფლებამოსილია ეკონომიკურ აგენტს დააკისროს ვალდებულებების შესრულების შესახებ პერიოდული ანგარიშგების წარმოდგენა, მათ შორის, შესაბამისი დამადასტურებელი მტკიცებულებებით.¹²²

პირობითი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში ეკონომიკურ აგენტს დაეკისრება ჯარიმა,¹²³ რომლის ოდენობა თითოეულ ვადაგადაცილებულ დღეზე არ უნდა აღემატებოდეს სააგენტოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების წინა ფინანსური წლის განმავლობაში ეკონომიკური აგენტის საშუალო დღიური ბრუნვის 5 პროცენტს.¹²⁴

ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის მიზნებისათვის წინა ფინანსურ წლად ჩაითვლება სააგენტოს მიერ გადაწყვეტილების მიღების წინა ფინანსური წელი, ხოლო თუ ეკონომიკური აგენტი რეგისტრირებულია გადაწყვეტილების მიღების წელს, შესაბამის ფინანსურ წლად ჩაითვლება გადაწყვეტილების მიღების წელი.¹²⁵

¹²² იქვე, 26.7 მუხლი.

¹²³ კანონის 25.15 მუხლი.

¹²⁴ იქვე 33.6 მუხლი, საქმის მოკვლევის წესის 26.9.ა მუხლი.

¹²⁵ საქმის მოკვლევის წესის 26.10 მუხლი.

ამასთანავე, პირობითი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, დარღვევის შეფასების გარეშე მიღებული გადაწყვეტილება გაუქმდება და საქმის მოკვლევა განახლდება დარჩენილი ვადით, რომელიც აითვლება პირობითი ვალდებულებების განსახილველად მიღების თარიღიდან.¹²⁶

ასეთ შემთხვევაში სააგენტო იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას, რომელიც დაეფუძნება კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევის ფაქტის დადასტურებას ან უარყოფას.

2. სააგენტოს პრაქტიკა პირობითი ვალდებულებების გამოყენების შესახებ

პირობითი ვალდებულებების მექანიზმის ქართულ საკანონმდებლო სივრცეში ადაპტირების შემდგომ, კერძოდ, 2020 წლიდან 2026 წლის აპრილის მდგომარეობით, სააგენტოს მიერ აღნიშნული მექანიზმი პრაქტიკაში გამოყენებულ იქნა მხოლოდ ერთ შემთხვევაში. კერძოდ, არაკეთილსინდისიერი კონკურენციის საქმეში „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11³ მუხლის საგარაუდო დარღვევის ფაქტზე, რომელიც ინიცირებული იყო სს „ბაშკირ სოდა კომპანიის“ 2025 წლის 9 სექტემბრის N01/5315 საჩივრის საფუძველზე შპს „დაფნას“ წინააღმდეგ.

დავა შეეხებოდა საკვები სოდის რეალიზაციას ისეთ შეფუთვაში, რომელიც, საგარაუდოდ, ლახავდა მომჩივნის საქართველოს ტერიტორიაზე რეგისტრირებულ სასაქონლო ნიშნებთან დაკავშირებულ უფლებებს და ქმნიდა მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის, მათ შორის, პროდუქციის (საკვების სოდის) აღრევის რისკს.

საჩივრის მატერიალური დასაშვებობის ეტაპზე მოპასუხე ეკონომიკურმა აგენტმა სააგენტოს შესთავაზა ვალდებულებები, რომლებიც მიზნად ისახავდა აღნიშნული კონკურენციის საწინააღმდეგო რისკების სრულად აღმოფხვრას. უფრო კონკრეტულად, შპს „დაფნამ“ იკისრა ვალდებულება:

- ამოელო ბაზრიდან სადავო შეფუთვით რეალიზებული პროდუქტი;
- შეეწყვიტა კონკრეტული ვიზუალური ელემენტების გამოყენება (მათ შორის შეფუთვაზე მითითებული ბმული www.sodainfo.ru, რომელიც მომჩივან კომპანიასთან დაკავშირებული საწარმოს ვებგვერდს წარმოადგენდა და იწვევდა მწარმოებლის აღრევას მომხმარებლის გადმოსახედიდან);
- მომავალში პროდუქტის რეალიზაცია განეხორციელებინა ისეთი შეფუთვით, რომელიც არ გამოიწვევდა მომხმარებელთა თვალში აღრევას და არ დაარღვევდა მომჩივნის ინტელექტუალური საკუთრების უფლებებს.

სააგენტომ შეაფასა, რომ აღნიშნული ვალდებულებები უზრუნველყოფდა კანონის საგარაუდო დარღვევის რისკის ეფექტიან აღმოფხვრას, შესაბამისად, დაეთანხმა რა მათ, ამავდროულად, განსაზღვრა თითოეული პირობის შესრულების კონკრეტული ვადები.

¹²⁶ იქვე, 26.9.ბ მუხლი.

ვალდებულებები დამტკიცდა სააგენტოს თავმჯდომარის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, რის საფუძველზეც შეწყდა საქმის მოკვლევა დარღვევის დადასტურების გარეშე.

ამავე დროს, სააგენტომ შეინარჩუნა ვალდებულებების შესრულების მონიტორინგის უფლებამოსილება და თითოეული ვალდებულებისათვის დაადგინა შესაბამისი ანგარიშგების ვადები, ხოლო მათი შეუსრულებლობის შემთხვევაში სანქციების, წარმოების განახლებისა და კანონმდებლობით განსაზღვრული შესაბამისი სამართლებრივი პროცედურის გამოყენების შესაძლებლობა.

პროცესის გამჭვირვალობის მიზნით, სააგენტო კონფიდენციალურობის პრინციპის გათვალისწინებით, ოფიციალურ ვებგვერდზე აქვეყნებს პირობითი ვალდებულებების სრულ ტექსტს, რომელიც ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის.

აღსანიშნავია, 2026 წლის მაისის მდგომარეობით, შპს „დაფნამ“ სააგენტოს წარუდგინა აღებული პირობითი ვალდებულებების შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებები, კერძოდ, განახორციელა საკვები სოდის სადავო შეფუთვის რეალიზაციიდან ამოღება, გარდა ამისა, კომპანიამ წარმოადგინა მტკიცებულებები სადავო შეფუთვაზე www.sodainfo.ru ბმულის ამოღებისა და საკვების სოდის ბაზარზე ისეთი ახალი შეფუთვით შეტანის შესახებ, რომელიც მომჩივანს იცავს ინტელექტუალური საკუთრების უფლების შესაძლო შელახვისგან და გამორიცხავს მომხმარებლის მხრიდან პროდუქტის აღრევის რისკს.¹²⁷

¹²⁷იხ. შესაბამისი ინფორმაცია სააგენტოს ვებგვერდზე: https://gcca.gov.ge/index.php?m=370&news_id=1830 [06.05.2026]